მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №19(105) 2015 წ. 1-15 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული არიან:

№8 ირმა ინაშვილი – „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
№41 თამარ ხიდაშელი – ბლოკი „ქართული ოცნება“
№42 ზურაბ ჯორბენაძე – საინიციატივო ჯგუფი
№43 მიხეილ ანდღულაძე – საინიციატივო ჯგუფი
№44 გიორგი დავითაია – საინიციატივო ჯგუფი

ჩაილურის თემში რეგისტრირებული კანდიდატები:

№7 მანანა ასანიშვილი – „უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე“
№8 ამირან საგინაშვილი – „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
№41 ზაზა ჩიხლაძე – ბლოკი „ქართული ოცნება“
№45 მალხაზ გრძელიშვილი – საინიციატივო ჯგუფი

საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატები №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქიდან

ბლოკი „ქართული ოცნებიდან“

თამარ ხიდაშელი

დაიბადა 1979 წელს ქ. თბილისში.

2001 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2005-2006 წლებში ინგლისის მთავრობისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის სტიპენდიით სწავლობდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ესექსის უნივერსიტეტში (ინგლისი), რომელიც წარჩინებით დაამთავრა. 2007 წელს მიენიჭა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები აქვს გავლილი ოქსფორდის უნივერსიტეტში, ეუთოს ადამიანის უფლებათა სკოლაში და სხვა.

2008-2010 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას.

2011 წელს იყო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ასევე გაეროს განვითარების პროგრამის მოკლევადიანი ექსპერტი.

2011-2013 წლებში მუშაობდა გაეროს განვითარების პროგრამის „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და ადამიანის უფლებათა დაცვა“ პროექტის ექსპერტად.

2012-2014 წლებში იყო ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ადამიანის უფლებათა კომისიის ექსპერტი.

2013 წლის ნოემბრიდან დღემდე არის ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“ გუნდის ლიდერი.

2013 წლის დეკემბრიდან დღემდე არის საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიის წევრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

არის დემოკრატიზაციის, მედიის, სასამართლო ხელისუფლებასთან და არჩევნების თემასთან დაკავშირებული რამდენიმე კვლევის და მონიტორინგის ანგარიშის ავტორი.

ჰყავს მეუღლე – ბესარიონ აბაშიძე და შვილი – ნიკოლოზი.

საინიციატივო ჯგუფიდან

გიორგი დავითაია

დაიბადა 1963 წელს ქ. თბილისში

1985 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი. წარჩინებით დაამთავრა იმავე ინსტიტუტის მეორადი ფაკულტეტი „ახალგაზრდა ლექტორთა სკოლა“ სპეციალობით „ტექნიკური და საინჟინრო ლიტერატურის მთარგმნელი“, ინგლისური ენის სპეციალისტი (1984წ); 1990 წელს დაამთავრა გზათა სამინისტროს საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა (მოსკოვი). აქვს სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

1985-86 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის საპროექტო ინსტიტუტის პროგრამისტად ამიერკავკასიის რკინიგზის მათემატიკურ განყოფილებაში;

1987-1990 წლებში იყო გზათა სამინისტროს საკავშირო ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი და ამავე ინსტიტუტის კომპიუტერული ქსელების განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ქ. მოსკოვი);

1991-1992 წლებში – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმატიკის და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტის სწავლული მდივანი და უფროსი მეცნიერ თანამშრომელია (ქ. თბილისი);

1992-1994 წწ – ღია სააქციო საზოგადოება რუსეთის რკინიგზის საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის ტექნიკური განყოფილების ინჟინერი;

1994-1998 წწ – სატრანსპორტო კომპანია „რუსკი მირის“ გადაზიდვების სპეციალისტი, საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრის უფროსი, კომპანიის კომერციული სამსახურის დირექტორია (ქ.მოსკოვი);

1998-1999წწ. – სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული მეტალურგიული კომპანიის“ ჰოლდინგის – სატრანსპორტო კომპანია „მეტალტრანზიტის“ გენერალური დირექტორის მოადგილეა (ქ. მოსკოვი);

1999-2001 წწ – სატრანსპორტო კომპანია „გლობტრანსის“ გენერალური დირექტორი (ქ. მოსკოვი);

2001-2004წწ – სატრანსპორტო კომპანია „დელროსის“ დირექტორი (ქ. მოსკოვი);

2004-2006წწ – სააქციო საზოგადოება „ანრუსტრანსის“ ქართული ფილიალის „ანჯორჯიას“ დირექტორი (ქ. მოსკოვი);

2007-2009წწ – ერთობლივი რუსულ-ყაზახური საწარმოს „როსკაზჟელდორტრანსის“ გენერალური დირექტორი (ქ. მოსკოვი);

2009-2013წწ – „მაქსტონკაპიტალზის“ (კვიპროსი) აღმასრულებელი დირექტორი (ლიმასოლი, კვიპროსი);

2014 წლიდან დღემდე – შპს „ჯეოკონტეინერის“ დირექტორი (ქ. თბილისი), ლიტვურ-პოლონური კომპანია „ბრუქსიას“ გენერალური დირექტორის მრჩეველია (კლაიპედა, გდანსკი, ლიტვა, პოლონეთი).

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქართველოს პარლამენტისა და ჩაილურის №11 და №12 ადგილობრივი მაქორიტარული ოლქების დეპუტატობის კანდიდატთა საყურადღებოდ!

თქვენი ავტობიოგრაფიული მონაცემებისა და დეპუტატად არჩევის შემდეგ სამოქმედო პროგრამის მოსახლეობისათვის გაცნობის მიზნით გაზეთი „გარეჯის მაცნე“ გთავაზობთ (შემოთავაზება გქონდათ თქვენს წარმომადგენლებთან 6 ოქტომბერს სატელეფონო საუბრით) გაზეთის ფურცლებზე მომავალი გეგმების განთავსებას (რაც ფასიანია). რაც შეეხება ავტობიოგრაფიის გამოქვეყნებას, ამას გაზეთი ერთჯერადად უფასოდ შემოგთავაზებთ, განმეორების შემთხვევაში – ფასიანია.

თქვენს მიერ გაზეთში განსათავსებელი მასალის – სამოქმედო პროგრამის რედაქციაში წარმოდგენის ბოლო ვადაა 20 ოქტომბერი.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სექტემბრის მორიგ სხდომას ამავე *მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე* **ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა.

სხდომაზე წარმოდგენილი საკითხების გაცნობის შემდეგ საკრებულომ მიიღო შესაბამისი დადგენილება მთელ რიგ წარმოდგენილ საკითხებზე – ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №56 დადგენილება, ასევე, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №57 დადგენილება. ცვლილებები იქნა შეტანილი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში.

საკრებულოს დადგენილებით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის I პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გავრცელდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემდეგ ტერიტორიებზე: ქ. საგარეჯოს დ. აღმაშენებლის ქუჩა, ერეკლე II-ის ქუჩა, შოთა რუსთაველის ქუჩა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერები, პარკები და მუზეუმები.

საკრებულომ დაამტკიცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკაროთა, ასევე, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობებში თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა აღრიცხვის, შერჩევის, მათთვის სოციალური საცხოვრისის გადაცემის და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისში შესასახლებელი ოჯახების შერჩევის, მათთვის სოციალური საცხოვრისის გადაცემასა და შემდგომ მონიტორინგს განახორციელებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფს და უზრუნველყოფს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონითა და ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებას. სოციალური საცხოვრისი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და მის მიზანს წარმოადგენს უსახლკაროთა საცხოვრებელი ადგილით იმ დრომდე უზრუნველყოფა, სანამ მობინადრეს არ ექნება საკუთარი საცხოვრებელი პირობები.

სოციალურ საცხოვრისში შესახლებული ოჯახები კი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ოჯახი არ უნდა ფლობდეს არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ საცხოვრებელ ფართს, ან მისი საცხოვრებელი არ უნდა აკმაყოფილებდეს ცხოვრებისათვის აუცილებელ მინიმალურ პირობებს (დანგრეული), ოჯახის ყველა წევრი უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ფაქტობრივად უნდა ცხოვრობდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ოჯახის სარეიტინგო ქულა სიღარიბის დაძლევის პროგრამის ფარგლებში არ უნდა აღემატებოდეს 100 ათასს, ოჯახის 1 წევრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი უნდა იყოს, მარტოხელა მშობლის მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს სამი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი, ოჯახი, სადაც საპენსიო ასაკის მარტოხელა პირი ზრდის 18 წლამდე ერთ ან ორ შვილიშვილს, უვლის განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს ან დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვ(ებ)ს, ოჯახის წევრს გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს, არის მარჩენალდაკარგული, ან მარტოხელა მოხუცი, სტიქიის შედეგად დაზარალებული.

სხდომაზე წარმოდგენილ საკითხებზე იმსჯელეს სხდომის მონაწილეებმა და მიეცა მუნიციპალიტეტის გამგებელს სოფელ დიდ ჩაილურში, უჯარმაში, ხაშმში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთების სამუშაოების მომსახურების გადაუდებელი აუცილებელობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თანხმობა, ასევე, სოფელ ყანდაურაში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის 63-მმ-იანი 7 ცალი მუფთის შეძენის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვისა და სოფელ ბადიაურში ე.წ. „სოკარის წყლის“ სატუმბ სადგურში დამონაჟებული სათავე-ნაგებობის გაწმენდა-რეაბილიტაციის გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თანხმობა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

6 ოქტომბერი, 2015 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე *მუნიციპალიტეტის გამგებელი* **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირს ესწრებოდნენ გამგებლის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში და გამგეობის სამსახურის უფროსები.

თათბირზე განსაკუთრებულად გამახვილდა ყურადღება მუნიციპალიტეტში „რთველი-2015“-ის მიმდინარეობის შესახებ. როგორც გამგებლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ვენახები გაიჭრა თითქმის ყველა ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მევენახეობას მისდევს მოსახლეობა. შეფერხებები ყურძნის და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებში წარსადგენი ცნობების გაცემაზე ჯერ-ჯერობით არ ყოფილა. სხვა მუნიციპალიტეტებიდან მევენახეთა მიერ მოტანილმა დიდი ოდენობით ყურძენმა შეფერხებები მხოლოდ ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებთან შექმნა, სადაც რიგში დგომა ზოგჯერ 12-24 საათი უწევთ. როგორც მათ აღნიშნეს, საწარმოს დირექციები ცდილობენ ამ პრობლემის მოგვარებას. როგორც ვარაუდობენ, ყურძნის უხვმა მოსავალმა შეიძლება „რთველი-2015“-ის დამთავრების ვადები გადაწიოს, თუმცა ყურძნის შესყიდვის მსურველები მართლაც არ აკლიათ მევენახეებს და თუ ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებს გლეხი საფერავს 1 კგ-ს 85 თეთრად აბარებს, კერძო პირები ხაშმის სახელგანთქმულ საფერავში 1 კგ-ში 2.50-3 ლარს უხდიან.

თათბირზე, ასევე ისაუბრეს ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე.

13 ოქტომბერი, 2015 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის თათბირს *ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი* **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. მან წინა თათბირებზე დასმული პრობლემების მოგვარების მიმდინარეობა გამოიკითხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში, ასევე დაწვრილებით გამოიკითხა რთველის მიმდინარეობა, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. როგორც გაირკვა, უჯარმაში სასმელი წყლის მილი დაზიანდა და საჭიროა მისი 400 მეტრ სიგრძეზე ამოცვლა.

თათბირზე მოწვეული იყო საქართველოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების კომპანიის წარმომადგენლები – ლერი თოფურია და დავით მიხელაძე. მათ ტერიტორიულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს გასცეს პასუხები. როგორც გაირკვა, ჩვენს მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების გარეშეა დარჩენილი მთის ზონის სოფლები, სოფლები ანთოკი, მარიამჯვარი, ზემო ყანდაურა და შიბლიანი.

რაც შეეხება საწყისი ქსელის გაყვანას, სოფლებში ბადიაურსა და ყანდაურაში, თოხლიაურში, ვერხვიანში, აქ დისტრიბუტორმა კომპანიამ „სოკარ-ჯორჯიამ“ აბონირება თითქმის ყველა აბონენტს გაუკეთა. მაგრამ, აღინიშნა ისიც, რომ სოფელ თოხლიაურში მცხოვრები რამდენიმე ოჯახი გარკვეული მანძილითაა დაცილებული გაზსადენის ცენტრალურ სისტემას, რის გამოც დისტრიბუტორი კომპანია მათ უარს ეუბნება ბუნებრივი აირის სახლამდე მიყვანაზე (შეგახსენებთ, რომ თითოეული კომლის აბონირებისათვის ერთჯერადი გადასახადი 400 ლარს შეადგენს). ასევე, პრობლემებია შექმნილი დისტრიბუტორი კომპანიისგან მანაველთათვისაც. აქ 1100 ოჯახია სააბონენტო სისტემაში შესაყვანი, მაგრამ, ჯერ-ჯერობით სამუშაოების მხოლოდ 50%-ია შესრულებული. სოფელ მზისგულში თითქმის დამთავრდა აბონირება, მაგრამ ბუნებრივი აირი არ მიეწოდება. ასევე ბუნებრივი აირი არ მიეწოდება იორმუღანლოს მოსახლეობას – კომპანია „სოკარ-ჯორჯიას“ მიერ დაუსრულებელი სამუშაოების გამო.

როგორც საქართველოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, სოფლებში შექმნილ ამ მდგომარეობას კომპანიის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენებენ და ეცდებიან აბონირებისა და ბუნებრივი აირით მოსახლეობის მომარაგების საკითხის დაჩქარებას.

„რთველი-2015“

უხვი და ბარაქიანი

2015 წელი ყურძნის უხვი და მოსავლიანი წელი აღმოჩნდა. რთველი ძალაში ოქტომბრის I დეკადაში შევიდა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებისკენ უწყვეტ ნაკადად მიემართება ყურძნით დატვირთული მანქანები. ძნელია ზუსტად განსაზღვრო – რა რაოდენობის ყურძენი მოიწიეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მევენახეებმა, მაგრამ, ამჯერად მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების მიერ მათ ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრებ მევენახეებზე გაცემულ ცნობებზე დაყრდნობით გთავაზობთ „რთველი-2015“-ის მონაცემებს (12 ოქტომბრისათვის):

შიბლიანი – რქაწითელი – 180ტ, მწვანე – 35 ტ, საფერავი – 90ტ.
მზისგული – რქაწითელი – 149ტ 700კგ, მწვანე – 25 ტ 200კგ, საფერავი – 267ტ.
ბადიაური – რქაწითელი – 430ტ, მწვანე – 10 ტ, საფერავი – 62ტ.
ვერხვიანი – რქაწითელი – 253ტ, მწვანე – 2200კგ, საფერავი – 77ტ, შერეული – 1.5ტ,
პატარა ჩაილური – რქაწითელი – 318 ტ, მწვანე – 78 ტ, საფერავი – 367ტ.
კაკაბეთი – რქაწითელი – 2354ტ, მწვანე – 510 ტ, საფერავი – 1004ტ., ხიხვი – 22 ტონა.
დიდი ჩაილური – რქაწითელი – 500ტ, მწვანე – 220 ტ, საფერავი – 920ტ.
მანავი – რქაწითელი – 870ტ, მწვანე – 180 ტ, საფერავი – 910ტ.
თოხლიური – რქაწითელი – 508ტ, საფერავი – 802ტ.
გიორგიწმინდა – რქაწითელი – 127ტ, საფერავი – 210ტ.
საგარეჯო – რქაწითელი – 153ტ, საფერავი – 841ტ.
ნინოწმინდა – რქაწითელი – 8ტ, საფერავი – 170ტ.
წყაროსთავი – საფერავი – 1200კგ.
ხაშმი – საფერავი – 24ტ.

„რთველი-2015“

რთველი, როგორც მევენახის მთელი წლის შრომა-გარჯის დამაგვირგვინებელი – რაღა თქმა უნდა, ზეიმი უნდა იყოს, მაგრამ ეს უფრო ოცნებად ქცეული სურვილია, რეალობასთან რომ არაფერი აქვს საერთო, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის. დიდ მევენახედ თავი არასოდეს მომქონდა, თუმცა მთელი ჩემი ცხოვრება ვაზის სიახლოვეს ვტრიალებდი და ვფიქრობ, ამ საქმეში კარგად ვარ ჩახედული. მაქვს საბჭოთა პერიოდის ნახევარჰექტრიანი ვენახი, რომელიც ჩემი ოჯახის ბიუჯეტს გარკვეულ შემოსავალს აძლევდა და იმედია მომავალშიც ასე იქნება.

ვინც მევენახის შრომა იცის, დამეთანხმება, რამდენად შრომატევადია, მაგრამ, გამოგიტყდებით – მთელ სეზონზე ყველაზე რთული ჩემთვის მუდამ დამაგვირგვინებელი ფაზა – რთველი იყო. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ ნერვიულობ, ცდილობ წლის მოსავალი რაც შეიძლება კარგად და დააბინაო და თუ რეალობა სასურველისგან შორსაა, ნერვიულობა პიკს აღწევს.

ბოლო წლებში ყურძნის დაბინავების პრობლემა თითქოს გადაიჭრა – სახელმწიფო ზრუნავდა იმისათვის, რომ ღვინის ქარხნებს შეუფერხებლად მიეღოთ ყურძენი და რაც მთავარია, ასე თუ ისე მისაღებ ფასად – 1 ლარად. მევენახის შრომას ფასი დაედო, რუსეთის ბაზრის გახსნამ იმედები ჩაუსახა გლეხობას, რასაც მოჰყვა მყისიერი რეაქცია, – ვისაც კი საშუალება ჰქონდა, დაიწყო ვენახების გაშენება, მოიმატა სარეალიზაციო ყურძნის რაოდენობამ... მაგრამ, მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა და რუსეთის მიმართ დაწესებულმა ემბარგომ, რუბლის დევალვაციამ შექმნა პრობლემები და შემცირდა ექსპორტი, რადგან ღვინის კომპანიები შესაბამის მოგებას ვეღარ იღებდნენ, სხვა ბაზრებზე კი ქართული ღვინის ექსპორტი სასურველი რაოდენობით ვერ ხვდება. ახლა არ დავიწყებ მტყუან-მართლის გარჩევას – მხოლოდ ფაქტის დაფიქსირებით შემოვიფარგლები.

ასე, რომ წლევანდელი რთველი პრობლემებით რომ იქნებოდა დახუნძლული, წინასწარ ვიცოდით. როგორც სახელმწიფო ჩინოვნიკებმა განმარტეს – გამოიყო სუფსიდია, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ თუ შარშან ის ღვინის ქარხნებს ეძლეოდათ, იმ პირობით, რომ ისინი ყურძნის ჩამბარებელს 1 ლარს გადაუხდიდნენ კილოგრამ ყურძენში, ახლა ეს პირობა მოიხსნა და ამან ფასის დაგდება გამოიწვია – რქაწითელის 60-70 თეთრამდე და საფერავის – 85 თეთრამდე. არც მევენახეთა პროტესტს მოჰყოლია შედეგი და რადგან ყურძენი კარტოფილი ან თუნდაც

რთველი – ზეიმი თუ...

თხილი არ არის, რომ მისი ხანგრძლივად შენახვა შეიძლებოდეს, მისი დაკრეფის დრო დადგა.

ჩემი ვენახი ბადიაურშია, და როგორც კი იქაურმა ქარხანამ მიღება დაიწყო, მაშინვე გადავწყვიტე ყურძნის დაკრეფა. მოვიძიე მანქანა, მკრეფავები და 26 სექტემბერს რთველი ჩავატარე, ყურძენი დავკრიფეთ, ჩასაბარებელი მანქანაზე დავტვირთეთ, სახლში წამოსაღები ცელოფნის ტომრებში ჩავყარეთ – ვფიქრობდი, ყურძენს ჩავაბარებ, მერე მოვალ, დავტვირთავ და სახლში წავიღებ-მეთქი, მაგრამ...

ქარხანათან მისულს იმხელა რიგი დამხვდა, თანაც შესასვლელის ორი მხრიდან, ნათელი გახდა – დიდხანს მომიწევდა იქ დგომა, მაგრამ, ასე დაუსრულებლად თუ გაგრძელდებოდა, ნამდვილად არ ველოდი.

ჯერ იყო და ყურძნის მიღება მხოლოდ საღამოს 6 საათზე დაიწყო. როგორც გვითხრეს, წინა ღამეს გათენებამდე უმუშავიათ და დღისით დასვენება სჭირდებოდათ, თანაც ეს ქარხნის კი არა, ყურძნის ჩამბარებელი კომპანიის წარმომადგენლების ადგილზე არყოფნით არისო გამოწვეული.

გამოცხადდა, რომ ჯერ წინა დღიდან დარჩენილ მანქანებს შეუშვებდნენ, შემდეგ კი სხვების რიგი დადგებოდა.

დაიწყო მანქანების შეშვება, მაგრამ თავი იჩინა ქართულმა ტრადიციამ – ურიგოდ შესვლამ. თავისი ფავორიტი ყველას ჰყავდა – კომპანიას, ქარხანას თუ დაცვას. საქმეს არც რიგში მდგომების პროტესტმა უშველა და არც მათ მიერ შესასვლელის ბლოკირების მცდელობამ. ამასობაში ქარხანასთან ყურძნის ჩამბარებელი მანქანების რიგი ერთი მხრიდან რკინიგზის ლიანდაგებს გასცდა, და კახეთის გზატკეცილზე გაგრძელდა, დასავლეთიდანაც კახეთის გზატკეცილს მიუახლოვდა.

რიგი ისე ნელა მიიწევდა წინ, ნათელი იყო, იმ დღეს შესვლას ვერ მოვახერხებდით. ვნებათაღელვა განსაკუთრებით შესასვლელთან ახლოს მყოფ მძღოლებს და ყურძნის მეპატრონეებს შორის მძვინვარებდა, რადგან მათ შესვლა-არშესვლის საკითხი წყდებოდა, თორემ ჩემსავით შორს მდგომები უკვე შეგუებული იყვნენ, თუ საქმეს არ ჩაიყოლებდნენ და ურიგოდ არ შევიდოდნენ, იმ დღისით რიგი არ შეხვდებოდათ.

ყურძნის ჩამბარებელთა შორის რამდენჯერმე ქალებიც გამოჩნდნენ და მიუხედავად კახელების სიუხეშეზე არაერთი ანეკდოტისა, ისინი თითქმის ერთხმად ურიგოდ გაატარეს. მხოლოდ ერთი ქალბატონის მიმართ შეიქმნა პრობლემა, რომელსაც თურმე 4 პირამდე დატვირთული „კამაზით“ ჰქონდა მოტანილი ყურძენი და ითხოვდა ჯენტლმენობის გამოჩენას და ურიგოდ შეშვებას მამაკაცთაგან, რომელთაგანაც ზოგს სულ რამდენიმე ასეული კილოგრამი ყურძენი ჰქონდა მოტანილი ჩასაბარებლად. მისმა ტირილმა და ხვეწნა-მუდარამ გაჭრა და მისი კამაზებიც ერთმანეთის მიყოლებით შეგრიალდნენ ქარხანაში, თუმცა ამის მიზეზი მხოლოდ ჯენტლმენობა იყო თუ გავლენიანი პატრონის ზარი, გაურკვეველი დარჩა (ის ხმამაღლა აცხადებდა, რომ უკვე რამდენიმე გავლენიან პირს დაარეკინა და აღშფოთებული იყო, რომ ამის მიუხედავად მაინც არ უშვებდნენ).

როგორც მძღოლებთან საუბრიდან გაირკვა, ყურძენი მთელი კახეთიდან სწორედ ბადიაურის ქარხანაში იყო გადამისამართებული. მათ იქვე გამოუთქვამთ პროტესტი, იმ სიშორეზე რატომ გვაგზავნითო, მაგრამ მაინც აქეთ გამოუშვიათ. ეს მაშინ, როცა იქვე სხვა ქარხნებიც იღებდნენ ყურძენს.

დამის პირველი საათის შემდეგ რიგი გაიყინა, რადგან აქედან მანქანები აღარ შეუშვიათ, 2-3 საათისათვის კი ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა.

ისე გადაღლილები ვიყავით ნერვიულობით და გაურკვევლობით, მეც და მძღოლმაც დავტოვეთ მანქანა ყურძნიანად რიგში და სახლში წამოვედით, რადგან, როგორც გვითხრეს, მეორე დღეს შუადღემდე ქარხანა მუშაობას არ დაიწყებდა.

დღის ორი საათისათვის მივაკითხეთ ჩვენს ყურძენს და ამჯერად ქარხანამ უფრო ადრე დაიწყო მუშაობა. რიგი თუმცა დიდი იყო, მაგრამ წინა დღესთან შედარებით – ნაკლები. რიგიც შედარებით სწრაფად მიიწევდა წინ, თუმცა რიგიდან ერთჯერადად შესულ 8 მანქანას ორ ურიგოს მაინც აყოლებდნენ – კომპანიის მანქანებიაო – პროტესტს აზრი არ ჰქონდა, რადგანაც ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, – თუ „ძალიან გავახურებდით“ შეეძლოთ სულაც შეეწყვიტათ მიღება.

და აი, ღამის 12 საათის შემდეგ დადგა ნანატრი წამი, შევედით ქარხანაში. ისე სწრაფად აიწონა და ჩაიწურა ყურძენი, (გარეთ მომლოდინეებს ეს დრო ძალიან დიდად გვეჩვენებოდა) მართლაც დავაფასეთ ქარხნისა და კომპანიის მუშაობა, განსაკუთრებით ქარხნისა (დირექტორი თამაზ გეგეშიძე), რომელიც დღეში 500 ტონა ყურძენს ამუშავებდა, მაშინ როცა თურმე კახეთის ორი ქარხანა ერთად ვერ ადიოდა

300 ტონამდე.

თითქოს აქ დამთავრდა ყველა პრობლემა. მაგრამ თურმე ასე არ ყოფილა – გვითხრეს – ქვითრის მისაღებად სამშაბათს ან შაბათს (10-დან 3 საათამდე) მობრძანდითო.

აქამდე ქვითარს მუდამ იქვე იძლეოდნენ, და თანხის მიღებაზეც არასოდეს მქონია პრობლემა, თუმცა ამასაც არ დავეძებდი და სამშაბათს დილის 10 საათზე იქ ვიყავი. ქარხანასთან ისევ იდგა ყურძნის ჩამბარებელი მანქანების რიგი, თუმცა არც ისე ბევრი, უფრო მეტი ქვითრის მიმღები ვიყავით – 100-ზე მეტი ადამიანი. აღმოჩნდა ენთუზიასტიც, რომელმაც შეადგინა სია და ამ სიის მიხედვით უნდა შევსულიყავით ქვითრის მისაღებად. მაგრამ 12 საათამდე ტყუილად ველოდით, 12 საათზე მოვიდა ახალგაზრდა, რომელმაც გვითხრა, რომ ის გასცემდა ქვითრებს, მაგრამ მოსამზადებლად 1 საათი სჭირდებოდა. როგორც იქნა დაიწყეს შეშვება, თუმცა აქაც ისევ რამდენიმე რიგისაზე – ერთი ამდენი ურიგო მიდიოდა. რაც მთავარია, ქვითრის გამოწერა ძალიან ჭიანურდებოდა – საათში ათიოდე ადამიანს ისტუმრებდნენ. როცა ბოლოს მომიწია რიგმა, სადღაც 4 საათისათვის – მივხვდი მიზეზს – ის ახალგაზრდა ხელით ავსებდა ბანკის ჩეკს, რასაც საკმაოდ დიდი დრო და აკურატულობა სჭირდება. შეიძლება მე კარგად ვერ ვერკვევი საბანკო პროცედურებში, მაგრამ ასეთი ფორმით საბანკო ოპერაციები მეოცე საუკუნეში დარჩენილი მეგონა, თუმცა, კიდევ ერთხელ გადავეყარე და უამრავი ადამიანის ნერვიულობის მიზეზი გახდა, რადგან იმ დღეს მოსულთაგან ნახევარზე მეტმა ვერ შეძლო ქვითრის მიღება, არადა მათი უმეტესობა ხომ კახეთის შიდა რაიონებიდან იყო ჩამოსული.

ასე დამთავრდა ჩემთვის „რთველი 2015“.

ამ წერილში ერთი რიგითი ადამიანის თავგადასავალი გადმოვეცი. იმის განსჯა, რამდენად ორგანიზებულად იყო „რთველი-2015“, მკითხველმა განსაჯოს.

ზურაბ აგულაშვილი

სოფლის მეურნეობის უძველესი დარგები ჩვენს მუნიციპალიტეტში

მარცვლეული კულტურები და მისი წარმოება

მარცვლოვანი კულტურების ზონა მუნიციპალიტეტში მოიცავს თითქმის ყველა ტერიტორიულ ორგანოს, მაგრამ ძირითადად მისი მოვლა-მოყვანა ხდება პატარძეულის, საგარეჯოს, გიორგიწმინდის, ბადიაურის, ყანდაურის მინდვრებში. 2015 წელს ხორბლის ნათესებმა შეადგინა 3371 ჰა (გასულ წელს 5685 ჰა). ქერისამ 527 ჰა (გასულ წელს 2055 ჰა). სიმინდი დათესიალია 488 ჰა-ზე, მზესუმზირა 1410 ჰა-ზე. მუნიციპალიტეტში საშემოდგომო ხორბალი მთავარი მარცვლოვანი კულტურაა, რომელსაც მარცვლოვნებს შორის ყველაზე დიდი ფართობი უკავია. გასული წლის რთულმა კლიმატურმა პირობებმა, კერძოდ: ზამთარში და გაზაფხულის დასაწყისში, მქროლავმა ქარებმა, რომლის სიჩქარეც 25-27 მ/წ ს აჭარბებდა, ძლიერ დაუზიანა ფესვთა სისტემა საშემოდგომო ნათესებს, რასაც თან დაერთო ხანგრძლივი გვალვიანი პერიოდი, უნდა აღინიშნოს რომ საშემოდგომო ნათესების უმეტესობა განლაგებულია ურწყავ მიწებზე, რის გამოც მოხდა ჯეჯილის დაკნინება, ხორბლისა და ქერის სიმაღლე არ აღემატებოდა 20-25 სმ-ს . უხარისხო სათესლე მასალის გამო მოკლე დარჩა თავთავის სიგრძე, დაბალი იყო მცენარეების სიხშირე 1 მ2-ზე, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო 620 ჰა-ზე არ მოხდა მოსავლის აღება. დაბალი იყო საშუალო მოსავლიანობა. მიმდინარე – 2015 წელს საუკეთესო პირობები შეექმნა მარცვლოვან კულტურებს, ამიტომაც წელს, ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 3-4 ტონა, როცა გასულ წელს 0,520 ტ. იყო. ქერისამ 5-6 ტონა, გასულ წელს კი – 0,450ტ. მაგრამ ჩვენთან დაბალი მოსავლის მიღება შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მუნიციპალიტეტში არსებულ ნაკვეთებზე არ მიმდინარეობს კულტურული მორიგეობა-თესლბრუნვა. არ არსებობს მარცვლეულ კულტურებზე ორიენტირებული მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა, ითესება წინასწარ შეუმოწმებელი ჯიშებისა და ჰიბრიდების თესლი. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საწვავის სიძვირის გამო, დროულად და ხარისხიანად ვერ ტარდება აგროტექნიკური ღონისძიებები: ნიადაგის ძირითადი დამუშავება, თესვისწინა დამუშავება, თესვა, კულტივაცია, ნათესის მოვლა, მოსავლის აღება-დაბინავება. მუნიციპალიტეტი განიცდის ქარისმიერ ეროზიას, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის ეროზიის საწინააღმდეგო და რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიების დანერგვა. კულტივირებულ ნიადაგებში საჭიროა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აპრობირებული ნიადაგის მინიმალური დამუშავების მეთოდის დანერგვა. გასულ წელს მუნიციპალიტეტში საშემოდგომო მარცვლეული კულტურებისათვის 50 ჰა-ზე მეტი დამუშავდა „ ასპარო“ ფირმის კომბინირებული ნიადაგდამამუშავებელი მანქანით, რომელიც ერთი გავლით რამდენიმე ტექნოლოგიურ პროცესს ასრულებს.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულმა საგაზაფხულო პროგრამამ „მცირე მიწიან ფერმერთა 2014 და 2015 წლების საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტმა“ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტში სიმინდის ნათესები.

მარცვლეული კულტურების მადალი და სტაბილური მოსავლის მისაღებად საჭიროა მათი მოვლა-მოყვანის თანამედროვე სრულყოფილი აგროტექნოლოგია, რითაც შესაძლებელი გახდება მუნიციპალიტეტში ვაწარმოოთ: ხორბალი 3.5ტ-ჰა, ქერი 2.5ტ-ჰა. სიმინდი 5.5ტ-ჰა, მზესუმზირა 2 - 2.5ტ-ჰა. მუნიციპალიტეტის ურწყავი და შემაღლებული ზონისათვის აუცილებელია სიმინდის საადრეო და საშუალო საადრეო ჯიშების დათესვა და დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 5 - 5.5ტ. ჰა-ზე.

ბარდა ზემოთ აღნიშნული ძირითადი დარგებისა, მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეული წვლილი შეაქვს და პერსპექტიულად ითვლება სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა: *ა) ტექნიკური კულტურების წარმოება (მზესუმზირა). ბ) ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოება. გ) მეთევზეობა (სატბორე მეურნეობა).*

ა) ტექნიკური კულტურების წარმოება:

ტექნიკური კულტურებიდან მუნიციპალიტეტში ძირითადი კულტურაა მზესუმზირა, რომლის ნათესი ფართობების დინამიკა წლების მიხედვით ასეთია:

2009 – 1742 ჰა.
2010 – 1100 ჰა.
2011 – 1176 ჰა.
2012 – 805 ჰა.
2013 – 1517 ჰა.
2014 – 1483 ჰა.
2015 – 1600 ჰა.

ე.ი. საშუალოდ, მზესუმზირის წლური ნათესი ფართობი შეადგენს 1304 ჰა-ს.

მზესუმზირის მოსავლიანობის დინამიკა აღნიშნული წლების მიხედვით კი ასეთია (ტონებში) :

2009 – 0,8 ტ. (წარმოება 1394 ტ.)
2010 – 1,0 ტ. (წარმოება 1100 ტ.)
2011 – 0,8 ტ. (წარმოება 941 ტ.)
2012 – 1,0 ტ. (წარმოება 865 ტ.)
2013 – 0,7 ტ. (წარმოება 1162 ტ.)
2014 – 0,22 ტ. (წარმოება 320 ტ.)
2015 – 0.3 ტ. (წარმოება 550 ტ.)

მზესუმზირის პერსპექტიულობა იმაშიც გამოიხატება, რომ მისი თესვა ჩვენი მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (თუ გასული წლის გვალვებს გამოვიცხავთ), შესაძლებელია ურწყავ ნიადაგებზე, კერძოდ: კრასნოგორკა (სათაფლე), ნინოწმინდისა და პატარძეულის ზონებში.

მუნიციპალიტეტში არის ერთი მოქმედი მზესუმზირის გადამამუშავებელი ქარხანა – სოფელ ნინოწმინდაში შპს „კავკასიონი 96“, რომელსაც შეუძლია დღე-დამეში 5 ტონა მზესუმზირის გადამუშავება.

ბ) ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოება:

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად საშუალოდ იწარმოება 20-22 ათასი ბოსტნეულ-ბაღჩეული, აღნიშნული კულტურების ხვედრით წილში თუ აქამდე 80-90%-ს შეადგენდა ბაღჩეული, ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი მცირდება ბოსტნეულის სასარგებლოდ, გაიზარდა პომიდვრისა და ხახვის ნათესი ფართობები, საშუალო წლიურმა ფართობებმა შეადგინა 120 ჰა. მთლიანად ბოსტნეულისა და ბაღჩეულის საშუალო წლიური ნათესი არის 800-850 ჰა.

დ) მეთევზეობა (სატბორე მეურნეობა):

აღნიშნული დარგის განვითარებისათვის მუნიციპალიტეტს საკმაო რესურსები გააჩნია, ტერიტორიაზე განლაგებულია 13 ტბორი, რომლის წყლის სარკის ჯამური ფართობი შეადგენს 250 ჰა-ს. სატბორე მეურნეობები გასულ წლებში აწარმოებდნენ ისეთი ჯიშის თევზებს როგორიცაა, სარკისებრი კობრი, სქელშუბლა, ამური. 2000-იანი წლების დასაწყისში ხაშმის ტერიტორიაზე ინვენსტორმა დაიწყო ზუთხის მოშენება, მაგრამ შემდგომ შეაჩერეს. დღეის მდგომარეობით მხოლოდ შვიდი ტბორია დატვირთული, რომელიც წლის ბოლოსთვის მოგვცემს პროდუქციას.

სოფლის მეურნეობის უძველესი დარგები ჩვენს მუნიციპალიტეტში

მეაბრეშუმეობა –

ნუ მივცემთ დავიწყებას!

დარგი, რომლითაც სახელგანთქმული იყო საქართველო

ჭიჭნაუსტი და საგარეჯო

„ჰიჰნაუსტი“ ძველქართულად აბრეშუმს ნიშნავს. პირველად ეს სიტყვა მე-5 საუკუნის ლიტერატურულ ძეგლში – იაკობ ცურტაველის “შუშანიკის წამებაში“ გვხვდება: „ხოლო წმინდამან შუშანიკ ნაცვლად ჰიჰნაუსტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ხელთა აღიხუნა დავითნი...“

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე ათასწლეულში ჩინეთის იმპერატორის მეუღლემ თუთის ხის ჩრდილში ჩაის სმის დროს ფინჯანში შემთხვევით ჩავარდნილი აბრეშუმის თეთრი პარკი შენიშნა, რომელიც ცხელი წყლით დამბალიყო, დაშლილიყო და ათიათასობით მბზინავი ძაფისგან შედგებოდა.

არქეოლოგიურად აბრეშუმის წარმოება ჩინეთის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთის პროვინცია შანსიში მტკიცდება, სადაც აღმოჩენილია მსოფლიოში ყველაზე ძველი პარკი, რომელიც ძვ.წ. აღრიცხვის 2200-1700 წლებით თარიღდება. რაც შეეხება აბრეშუმის ქსოვილს, პირველი ფრაგმენტები სამხრეთ ჩინეთის სამაროვნებშია აღმოჩენილი. ეს ეპოქა კი ძველი წელთაღრიცხვის 475-221 წლებს მოიცავს და მას „მეომარ სამეფოთა“ ეპოქას უწოდებენ.

არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ხოტანის მეფემ ვერ მოიპოვა აბრეშუმის ქსოვილის ნედლეული და მისი წარმოების ტექნოლოგია. ამიტომ მან ჩინეთის იმპერატორს ქალიშვილის ხელი სთხოვა. პრინცესა დათანხმდა. მეფის დესპანისგან გაიგო, რომ ხოტანის მეფეს ნეფრიტის ქვების საბადო და ლამაზი სამკაულები აქვს, მაგრამ აბრეშუმის ნაირსახეობა არ აქვთ...

ჩინეთის იმპერატორის ასულმა აბრეშუმის ჭუპრები მაღალ ვარცხნილობაში, თუთის ხის ნერგები კი წამლებისა და ბალახეულის შეკვრაში დამალა. ხოტევანში გასამგზავრებელ მსახურთა ამალაში კი აბრეშუმის ჭიის მომვლელები, თუთის ხეების მომშენებლები და აბრეშუმის ჭიის მომვლელები, თუთის ხეების მომშენებლები და აბრეშუმის მქსოველები ოსტატურად შეაპარა და ჩინეთიდან ხოტევანს გაემგზავრა...

დიდი იყო დაინტერესება აბრეშუმის ქსოვილების მიმართ. 550 წელს ქრისტეშობიდან, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე პირველმა ორი სპარსელი დაითანხმა და ჩინეთიდან აბრეშუმის ჭია ბამბუკის ფუტურო ხელჯოხებში დამალული ჩამოატანინა.

საქართველოში აბრეშუმის ჭიის შემოყვანას კი ვახტანგ გორგასალს უკავშირებენ.

რაც შეეხება „აბრეშუმის გზას“, რომელიც საქართველოზეც გადიოდა, საფუძველი ძვ.წ. აღ-ით 121 წელს ჩაეყარა, როცა ბრინჯაოს სარკეებითა და აბრეშუმით დატვირთული პირველი ქარავანი დაიძრა დასავლეთის მიმართულებით...

ქრისტეშობიდან IV-IX საუკუნეებში აბრეშუმის გზა მსოფლიოში ცნობილი იყო – მის გასწვრივ იქმნებოდა ქვეყნები, ქალაქები, დასახლებები. ვაჭრობა ამდიდრებდა ქვეყნებს, ადამიანებს, ქალაქებს. ეს გზა ერთმანეთს აკავშირებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, შემდეგ კი წლები გავიდა და დიდი იმპერიების სპარსეთისა და ბიზანტიის ომებმა შეაფერხა, დაასუსტა ვაჭრობა. ჩრდილოეთის გზიდან „აბრეშუმის გზამ“ ხან სამხრეთისაკენ გადაინაცვლა, ხან ჩრდილო კავკასიაზე გაიარა, მაგრამ ომებმა,ძარცვებმა,ყაჩაღობებმა ეს გზებიც დაასუსტა და მალე XV საუკუნეში აბრეშუმი მხოლოდ საზღვაო გზითღა გადიოდა.

მეაბრეშუმეობა საქართველოში 15 საუკუნეს ითვლის. მისი აღორძინება ყოველთვის მიუთითებდა ქვეყნის ძლიერებას. XX საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში მეაბრეშუმეობა მართლაცდა მაღალ დონეზე იყო განვითარებული. მარტო ამ დარგში ჩვენი ქვეყნის 200 ათასი ოჯახი იყო დასაქმებული და 4-4,5 ათასი ტონა ნედლეული მზადდებოდა, რაც ფულად თანხაში15 მილიონ მანეთ წლიურ შემოსავალს აძლევდა საქართველოს. მთელ საბჭოეთში ცნობილი იყო მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი, რომლის ხარისხიანობას საერთაშორისო ბაზარიც აღიარებდა. მაგრამ... გავიდა წლები და 1995 წლიდან საქართველოში არც ერთი კილოგრამი სამრეწველო პარკი აღარ დამზადებულა, განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა...

1995 წლიდან ქართველმა მეცნიერებმა ენთუზიაზმით მოახერხეს და შეინარჩუნეს თუთისა და თუთის აბრეშუმხვევიას ძირფასი გენოფონდები, შექმნეს ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალი ხარისხის პროდუქცია. ქართული აბრეშუმის ქსოვილის კონკურენტუნარიანობის დამადასტურებელია პლატინის ვარსკვლავი, რომლითაც ის დაჯილდოვდა მადრიდის საერთაშორისო გამოფენაზე 1998 წელს. მეაბრეშუმეობა ბუნებრივი, უნარჩენო, შეკრული ციკლის კლასიკური ნიმუშია. ის იძლევა მართლაცდა ძვირფას პროდუქტს, საიდანაც მიღებულ ქსოვილს დაპყრობილი აქვს მსოფლიო და მას „ქსოვილთა დედოფალს“ უწოდებენ. არის ნაზი, მტკიცე, ადამიანის ბიოველის მომწესრიგებელი, ხელს უწყობს ყველა იმ დაავადების აღმოფხვრას,რომლებიც უკავშირდება ადამიანის დაზიანებულ ელექტრომაგნიტურ ველს, დადებითად მოქმედებს ფეხმძიმე ქალებსა და ბავშვებზე. მწერი – აბრეშუმის ჭია თავადაც დადებითი ემოციების წყაროა.

ჭიის კვების ნარჩენები საუკეთესო ბუნებრივი სასუქია ნიადაგისათვის. ძაფის ამოხვევის შედეგად დარჩენილი ჭუპრები შეიძლება გამოვიყენოთ ფარმაკოლოგიაში, კოსმეტოლოგიაში, ცხოველების გამოსაკვებად.

აბრეშუმის პარკი მიიღება ჭიისაგან, რომელიც იკვებება მხოლოდ და მხოლოდ თუთის ფოთლებით. თუთის აბრეშუმხვევიას, როგორც მას უწოდებენ, სიცოცხლე იწყება კვერცხიდან, რომელსაც გრენა ჰქვია. გრენიდან იჩეკება ჭია. ჭია გარდაიქმნება ჭუპრად, ჭუპრი – პეპელად, რომელიც დებს კვერცხებს და ერთი თაობის სიცოცხლეც მთავრდება. ჭამა კი მხოლოდ ჭიას სჭირდება.

კვერცხიდან, ანუ გრენიდან გამოჩეკილი ჭია შავი ფერისაა და ჭიანჭველას ჰგავს და მური ჰქვიას. მური იწყებს თუთის ფოთლის ჭამას და სწრაფ ზრდას. გაზრდილი სხეული კანში ვერ ეტევა და ჭია მას იცვლის, რასაც კანის ცვლა ჰქვია. ზრდასრულ მდგომარეობამდე მისაღწევად ჭია ოთხჯერ იცვლის კანს. კანის ცვლის შორის პერიოდებს ჭიის ასაკს უწოდებენ, რომელთა რაოდენობა ხუთის ტოლია.

ჭია ყოველ ასაკში კარგად ჭამს თუთის ფოთოლს. მიაღწევს თუ არა ასაკის ბოლო დღეს, ჭამას წყვეტს. პირიდან უშვებს აბრეშუმის ძაფს, ემაგრება რაიმე საყრდენს და გაირინდება. ამ მდგომარეობას ძილი ჰქვია. ძილში ჭია ძველ კანშია, როდესაც ახალი კანი გაუჩნდება და ძველი მოსცილდება, ჭია „იღვიძებს“ და ისევ აქტიურად იწყებს თუთის ფოთლის ჭამას. ჭია ოთხჯერ იცვლის კანს. მეხუთე ასაკის ბოლოს ჭია ფერს იცვლის, მოთეთრო-მოლურჯოდან ხდება ქარვისფერი, რბილდება, წყვეტს ჭამას და ეძებს მყუდრო ადგილს პარკის ამოსახვევად. ჭია პარკს სამი დღე და ღამე ახვევს. ჭიის სიცოცხლე უკვე ახვეულ პარკში თუთის ფოთლის გარეშე გრძელდება. პარკში ჭია ჭუპრად იქცევა, ჭუპრი – პეპლად. პეპელა არღვევს პარკს და გარეთ გამოდის. პეპლები წყვილდებიან. დედალი დებს კვერცხს და კვდება. პარკში ჭიის და ჭუპრის პარკს გარეთ პეპლის საკვებს ჭიის მიერ თუთის ფოთლით კვებისას დაგროვილი ცხიმი წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, აბრეშუმის ჭია იკვებება მხოლოდ თუთის ფოთლით. ფოთლის მიმართ კი უმთავრესი მოთხოვნებია: თუთის ჯიშიანობა, თუთის ასაკი (არანაკლებ 5 წლისა), ფოთოლი აღებული უნდა იყოს მზიან ადგილზე მოზარდი თუთიდან. ფოთლის დამზადება დილის ან საღამოს საათებში უნდა მოხდეს და ამასთან გასათვალისწინებელია ფოთლის და ჭიის ასაკების თანხვედრა. მაღალხარისხოვანი ფოთლის მისაღებად კი თუთის ნერგისათვის განსაკუთრებით ნოყიერი ადგილი უნდა შეირჩეს. ასეთი ნიადაგის შემცველი იყო მიწის ის ნაკვეთი საგარეჯოში, რომელსაც უხსოვარი დროიდან დაერქვა ტოპონიმი „კოკონაური“ (კოკონაური სულხან-საბას განმარტებით, აბეშუმის ჭია-კოკონა ჭიის ზრდის პროცესში იქცევა, მას განსაკუთრებული ხარისხის ფოთლით კვება სჭირდება, რომელსაც მეტი კვებითი ღირებულება აქვს. ტოპონიმი „კოკონაურის“ სახელის მქონე ადგილი საგარეჯოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და რომელზედაც დღეს განლაგებულია: ჩრდილოეთით – ქვეყნის მთავარი საავტომობილო გზატკეცილი, რესტორან „სახალხო სახლიდან“ ადგილ „ალინჯამდე“, აღმოსავლეთით – რესტორან „სახალხო სახლიდან“ ადგილ „კოსტაფემდე“ და ასევე, ქ. საგარეჯოს კახეთის რკინიგზის დასახლებამდე, სამხრეთით რკინიგზის სადგურის დასახლებამდე და ადგილ „ნასადგომარამდე“. სწორედ ამ ადგილზე იყო გაშენებული თუთის ის პლანტაციები, რომლებიც მაღალხარისხოვან ფოთოლს იძლეოდა. მეაბრეშუმეობას საგარეჯოში ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. აქ მოყვანილი აბრეშუმის პარკი ხარისხით ყველა კუთხის აბრეშუმის პარკს უწევდა კონკურენციას.

მაგრამ, XIX ს-ის 80-იან წლებში, 1884 წელს თბილისიდან კახეთში მიმავალმა სატრანზიტო გზამ სართიჭალიდან საგარეჯო-მანავის მხარეს გადმოინაცვლა, ხოლო 1912-1915 წლებში კახეთის რკინიგზამ „კოკონაურის“ ბოლოზე გამოიარა და ამან რკინიგზის სადგურის დასახლება გამოიწვია.

აქ აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მასალამ გვიჩვენა, რომ აქ ჩვ.წ. აღ-მდე მე-4, მე-3 ათასწლეულში ჩვენს წინაპრებს უცხოვრიათ და დიდი კულტურაც ჰქონიათ... იმ ათასწლეულში იყო თუ არა განვითარებული მეაბრეშუმეობა, ჩინეთისა და სპარსეთის გარდა, ამას მსოფლიო არქეოლოგია იკვლევს.

გასული საუკუნის 50-60-იან წლებშიც და შემდეგაც საგარეჯო მეაბრეშუმეობის განვითარების მხრივ ქვეყანაში დიდ ყურადღებას იქცევდა. რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში გამოყოფილი იყო სპეციალური შენობა-ნაგებობები აბრეშუმის ჭიის განსათავსებლად. მათ გამოკვებასა და მოვლაზე სამუშაო ბრიგადებს სათავეში გამოცდილი მუშაკები ედგნენ. მოსახლეობაშიც, საკუთარ სახლებში სათუთად უვლიდნენ აბრეშუმის ჭიას, რომელიც შემოსავლიანიც იყო და ამასთან – სეზონურიც. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის დასრულებისთანავე სპეციალურ შენობებში შეჰყავდათ მური და მოსწავლეთა მიერ მომარაგებულ თუთის ფოთლით მორიგე პერსონალი ზრუნავდა მათ გამოკვებაზე. ამ სეზონური სამუშაოთი სკოლები ისეთ შემოსავალს იღებდნენ, რომელსაც ისევ სკოლის კეთილმოწყობას ახმარდნენ.

საგარეჯოს რაიონში გასული საუკუნის 40-80-იან წლებში წარმატებით ფუნქციონირებდა საგარეჯოს რაიონული გაერთიანება ე.წ. „რაიაბრეშუმი“, რომელიც რაიონის მეაბრეშუმეებს ახალგამოსული ჭიით (მური) ამარაგებდა და თან კონსულტაციებს უწევდათ აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობაზე.

გვესაუბრება 1989-1992 წლებში ყოფილი **„რაიაბრეშუმის“**, შემდეგ კი ყოფილი სააქციო საზოგადოება „მეაბრეშუმეობის“ ყოფილი დირექტორი **ტარიელ როსტომაშვილი:**

– წელიწადში ჩვენს რაიონში 18 ტონა ნედლი პარკი მიიღებოდა. აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობაში დახელოვნებულები იყვნენ საგარეჯოს, მანავის, ყანდაურის, შიბლიანის, გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობებისა და კაკაბეთის ორივე, ბოგდანოვკის, , ნინოწმინდის, კოლმეურნეობების მშრომელები. აბრეშუმის ჭიის მოვლაზე დასაქმებული იყვნენ ასევე, ოჯახები. აბრეშუმის ჭიას საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც უვლიდნენ, მაგრანმ თვით ყაზახეთისა და აზერბაიჯანის მეაბრეშუმეების მიერ მოყვანილ ჭიის პარკს ბევრად აღემატებოდა ხარისხით ჩვენი, ქართული აბრეშუმის ნედლეული.. ჩვენი თეთრი იყო, მათი ნედლეული კი ყვითელი და ქსოვილიც შესაბამისად – უხარისხო. განსაკუთრებით მაღალი ხარისხის იყო ინდივიდუალურად, ოჯახების მიერ მოვლილი ჭიისგან მოყვანილი მოსავალი. პირველი ხარისხის 1 კგ ნედლ პარკში სახელმწიფო 8-დან 10 მანეთამდე უხდიდა მეაბრეშუმეს, მეორე ხარისხში – 8 მანეთს, მესამე ხარისხი უკვე წუნდებული იყო და 0.50-დან 1 მანეთამდე. 1 გრამი მურიდან 3 კგ ნედლი პარკის მიღება შეიძლება. რაიონში წარმოებული 18 ტონა ნედლი პარკი ჩვენთან – „რაიაბრეშუმში“ შემოდიოდა, სადაც ტექნოლოგიური დამუშავების (გამოშრობა) შემდეგ 1 ტონიდან 380 კგ აბრეშუმის პარკი მიიღებოდა. ბოლოს კი თელავის ძაფსახვევ ფაბრიკაში მიდიოდა.

საგარეჯოს რაიონში აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად 220 ჰა-ზე იყო გაშენებული თუთის პლანტაციები. 1 ჰა თუთის ნარგაობიდან გამოკვებილი ჭიიდან შეიძლებოდა 500-დან 700 კგ-მდე აბრეშუმის პარკის მიღება. ეს პლანტაციები საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის ბალანსზე იყო. წლების განმავლობაში არასწორმა მოვლამ მისი გამეჩხერება, დაკნინება და დაფუტურავება გამოიწვია. თუთის ხეებს განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება, უბრალოდ, მისი გასხვლა, ტოტების შეცლა უნდა მოხდეს მოხერხვით და არა ნაჯახითა და ცულით დაჩეხვით. ამ დროს თუთის ხე სკდება, ბზარები უჩნდება, მასში სოკოვანი დაავადება იკიდებს ფეხს და უნაყოფო ხდება. უნაყოფობაში ამ შემთხვევაში – ფოთლის დაკნინება იგულისხმება. ამიტომ ბოლო წლებში თუთის ფოთლების შემოტანა საგარეჯოს ლაგოდეხიდან უხდებოდა, რაც კოლმეურნეობებსაც და მეურნეობებსაც ძვირი უჯდებოდა.

განსაკუთრებული წესების დაცვას ითხოვდა მარცვლოვანი კულტურების ჰერბიციდებით შეწამლვის საკითხი. ამ დროს სიგნალი გადაეცემოდა მეაბრეშუმეობას და სადაც ეს პროცესი ჩატარდებოდა, მის ახლოს მდებარე თუთიდან ფოთლის მოწყვეტაც არ შეიძლებოდა განსაზღვრულ ვადებში, რათა ფოთოლი მომწამვლელი არ გამხდარიყო აბრეშუმის ჭიისათვის.

ჩვენი აგრონომები სისტემატურად, გრაფიკის სრული დაცვით ყურადღებას აქცევდნენ აბრეშუმის ჭიის მოვლის, გამოკვების, ტემპერატურის, საერთო აგროტექნიკის მკაცრ დაცვას. მომვლელებს უტარდებოდათ საუბრები, აკვირდებოდნენ ჭიის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

– თქვენი აზრით რამდენად შემოსავლიანი იქნება ოჯახებისათვის აბრეშუმის ჭიის მოვლა?

– ჩვენი რაიონი სოფლის მეურნეობის პროფილისაა, ამდენად აქ შეიძლება ვიფიქროთ თუთის პლანტაციების გაშენებაზე, ოღონდ გარკვეულ მიწის ნაკვეთებში. აქ გათვალისწინებული უნდა იქნას ხორბლის ნათესებთან, ვენახებთან სიახლოვე (შეწამლისას). თუთის ხე, ზემოთაც აღვნიშნე, დიდ მოვლას არ საჭიროებს. რიგთაშორისში შესაძლებელია ბოსტნეულის თესვა. აბრეშუმის ნედლი პარკის მიღება კი, მოგეხსენებათ სეზონურია. 1992 წელს ჩვენს რაიონში მოყვანილ 1 კგ პარკში იტალიაში 17 დოლარი გადაუხადეს ერთ-ერთ ბიზნესმენს. მას შემდეგ ფასებმა აიწია, აბრეშუმის პარკი და აბრეშუმის ქსოვილის წარმოება ყველა ქვეყნის საფეიქრო მრეწველობის ყურადღების ცენტრშია. რატომ არ შეიძლება საგარეჯოს მუნიციპალიტეტშიც იკისროს ვინმემ და ხელი მიჰყოს ამ დარგის განვითარებას?

2005 წელს საქართველოს ახალგაზრდა აგრარიკოს-მეცნიერთა კავშირმა მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის მოსახლეობის სწავლებისა და დასაქმების საცდელი პროექტი განახორციელა. ეს სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანსა და ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეთში მოხდა. იქ ამით საფუძველი ჩაეყარა მეაბრეშუმეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებას. მათ 60-მდე ადამიანი გადაამზადეს და კვალიფიკაცია აუმაღლეს. მაქვს იმედი, რომ არც ჩვენი რაიონის მოსახლეობა იტყვის ამაზე უარს, უბრალოდ, უნდა კონკრეტული პიროვნება ჩაუდგეს ამ საქმეს სათავეში. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მნიშვნელოვან პროექტებს აფინანსებს სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარებისათვის, იქმნება კოოპერატივები, რატომ არ შეიძლება ყველაფერი ეს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობამაც გამოიყენოს?!

მართლმადიდებლობა

სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული

14 ოქტომბერს ქართული ეკლესია ზეიმობს სვეტიცხოვლობას, ადიდებს „კვართსა საუფლოსა და სვეტსა ღმრთივ-ბრწყინვალესა და მირონმდინარესა“ ამ დღეს ასევე აღინიშნება მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას, წმინდა სიდონიასა და აბიათარის ხსენებაც.

„ვხარობთ და ვმადლობთ უფალს, რომ ჩვენს ქვეყანაში დაბრძანებულია მრავალი სიწმინდე. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ჩვენმა წმინდა მიწამ მიიღო კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რაც არის ურიცხვი წყალობა ღვთისა! და არა ჩვენი დამსახურება... სვეტიცხოველი არის დიდი და მძლავრი კელაპტარი, რომელიც დაანთეს წმინდა ნინომ, მირიანმა და ნანამ“...

ილია II
სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქი

ვერავინ შეძლო კვართის ხელყოფა

... როცა უფლის კვართზე წილი ჰყარეს ჰურიათა, ღვთის განგებულებით იგი მცხეთელებს შეხვდა. ელიოზმა და ლონგინოზმა კვართი ქართლში წამოასვენეს. მცხეთას მოსულ ელიოზს წინ შემოეგება „დაი თვისი“, სიდონია. მან გულში ჩაიკრა კვართი მაცხოვრისა ჩვენისა, ტირილით და გოდებით მოისმინა ძმისაგან ჯვარცმის ამბავი და სული განუტევა. ეს სასწაული სწრაფად გახმაურდა მთელს ქართლში. ადერკი მეფემ მოისურვა თავად შეემოსა კვართი, მაგრამ იგი სიდონიას გაცივებულ მკლავებს ვერავინ მოაშორა, ელიოზმა თავისი და წმიდა კვართთან ერთად დამარხა. სიდონიას საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა, რომელიც ოთხი საუკუნის შემდეგ მეფე მირიანის ბრძანებით ეკლესიის ასაშენებლად მოუჭრიათ ხეროებს, მისგან დაუმზადებიათ სვეტები - ერთი, სახილველად საკვირველი და სასწაულმოქმედი, ვერ აღუმართავთ. იგი მხოლოდ წმინდა ნინოს ლოცვა-ვედრების შემდეგ აღმართულა იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დაკრძალული. აქ აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარიც.

მეთერთმეტე საუკუნეში, თურქების შემოსევისას, სულთნის მეუღლეს შაჰრი-ხათუნს სიწმინდის ამოთხრა მოუნდომებია, მაგრამ სვეტის ძირიდან ამოვარდნილ ცეცხლს ფერფლად უქცევია ღვთის მგმობელი... ვერც თემურ-ლენგი და ვერც შაჰ-თამაზი ვერ გაკადნიერებულან სიწმინდის ხელყოფად. მხოლოდ შაჰ-აბასს გაუბედავს და უბრძანებია სვეტი-ცხოველის საძირკვლის გათხრა, მაგრამ მიწიდან ამოვარდნილ ცეცხლს კვლავ დაუწვავს ამ მკრეხელობის ჩამდენნი. შაჰს შეშინებია, ჩამომხდარა, ტაძრისთვის მოკრძალებით შემოუვლია გარს, სვეტის წინ ულოცია და კათოლიკოსისთვის ხელშეუხებლობის გარანტია მიუცია.

სვეტიცხოვლის სიწმინდეები

სვეტიცხოვლის ტაძარი მრავალ სიწმინდეს ფლობდა: უფლის კვართს, სასწაულმოქმედ სვეტს, წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხალენს. XX საუკუნის დასაწყისში (და ახლაც) იქვე გახლდათ დაბრძანებული ერთი იმ ოთხ ჯვართაგანი, რომლებიც წმინდა ნინომ სასწაულმოქმედი ხისგან შეაქმნევინა. ადრე, თემურ ლენგის შემოსევამდე, იგი მცხეთის ჯვრის მონასტერში ბრძანდებოდა. სასწაულმოქმედ ჯვარს (მის მიმართ განსაკუთრებით უშვილოებს ჰქონდათ სასოება) 2004 წლის 16 თებერვალს მირონი დაედინა. პატრიარქის კურთხევით, იგი მინანქრული ხატებით გაამშვენეს. მასში ჩატანებულია ძელიცხოველისა და წმინდა ნინოს ჯვრის ნაწილები.

სვეტიცხოვლის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე ყოფილა საქადაგო ხატი სვეტიცხოველისა. ეს არის კარედში ჩაბრძანებული სვეტი-ცხოველის 36X17სმ ზომის ჭედური გამოსახულება. კარედის გვერდებზე გამოსახულნი არიან წმინდა ნინო და წმინდა მირიანი. კარედის ზემოთა ნაწილი მოოქროვილია. მასზე გამოსახულია კუბოში მწოლიარე სიდონია, მის მკერდზე კი აღმართულია სვეტი, რომელიც ანგელოზებს უჭერიათ ხელთ. სიდონიას ფერხთით გამოსახულია მლოცველი წმინდა ნინო, ხოლო ზემოთ - ორივე ხელით მაკურთხებელი მაცხოვარი. ხატში 44 წმინდა ნაწილი ყოფილა ჩატანებული. ის ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ეს სიწმინდენი სწორედ ის საფარველი გახლავთ, რომელიც ბურავდა „არა ოდენ ვიდრემე გუამსა ღვთაებისასა, არამედ უფროისდა შიშლოებასა სულთა ჩვენთასა ცოდვისა მიერ“.

შეგახსენებთ, რომ სვეტიცხოვლობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ყველა მოქმედ ტაძარში 14 ოქტომბერს ღვთისმსახურება სრულდება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კი 10 საათზე წირვას სვეტიცხოვლის ტაძარში აღავლენს ხოლმე. მთელი დღის განმავლობაში მცხეთაში არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი. მცხეთის ცენტრალურ ქუჩაზე ეწყობა ხალხური რეწვის, თექის, ფერწერის, გრაფიკის, მელქიორის, ვერცხლის, და სხვადასხვა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; დღის განმავლობაში იგეგმება ასევე საცირკო სანახაობაც და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

***

როგორც წმიდა კვიპრიანე კართაგენელი ბრძანებს, “თავისი კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის ერთიანობაზე მიგვანიშნა” და “შეუძლებელია, ქრისტეს სამოსი ჰქონდეს იმას, ვინც ქრისტეს ეკლესიას არღვევს”. ამიტომაც იყო, ქართველები ასე რომ უფრთხილდებოდნენ ეკლესიის ერთიანობას, ამიტომაც იყო, რომ ეპისკოპოსი აუცილებლად სვეტიცხოველში უნდა კურთხეულიყო.

***

ერთხელ წმიდა პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერისძემ “ზამთრის სასტიკებისა” და დედოფლის უძილების გამო მროველი ეპისკოპოსი ტიმოთე რუისის საყდარში აკურთხა ეპისკოპოსად. იმავე დამეს სვეტიცხოველი “სახედ მოხუცებული ბერი კაცისა“ ტაძრის ქადაგს ეჩვენა და უბრძანა, პატრიარქი გაეფრთხილებინა, რომ მას აღარასოდეს ეკურთხებინა ეპისკოპოსი სადმე სხვაგან, გარეშე სვეტიცხოვლის ტაძრისა. ეს უმეცრებით ჰყო, ამიტომ შევუნდობ, მაგრამ სხვა დროს აღარ ვაპატიებ “შეურაცხყოფას საყდრისა ჩემისაო”,– უბრძანებია უფალს.

***

მეორე იერუსალიმად წოდებული მცხეთა, სვეტიცხოველი, კვართი უფლისა და წმიდა სვეტი სახისმეტყველებად აღძრავს ქართველებს.

ტროპარი: კათოლიკე ეკლესიისა დღესასწაული, სუეტისა წმიდისა და კუართისა საუფლოისა: ნათელი შემოჰკრებს კიდეთა სოფლისათა და სანოვაგედ წმიდად მიჰრონსა გვიწყაროებს, რომელნი წმიდასა ღმრთისმშობელსა და მისგან შობილსა ქრისტესა თაყუანის-ვსცემთ, რაითა ვჰოვოთ ცხოვრება სულთა ჩუენთა.,

წერილი თანატოლებს

ჩვენ და საქართველო

ახალგაზრდობა რომ ქვეყნის მომავალი, იმედი და დასაყრდენია, ეს მათ არაერთგზის და არა ერთ დროს დაუმტკიცებიათ, რისი მაგალითებით უხვადაა გაჯერებული საქართველოს ისტორია დასაბამიდან. დასტურად სულ ახლახანს, ივნისში, თბილისში დატრიალებული ტრაგედია და მისი შედეგების ლიკვიდაციაზე ჩვენი ახალგაზრდობის თავდადებაც იკმარებდა. ღვთის წყალობით ასეთების ნაკლებობა არც ჩვენს მუნიციპალიტეტშია.

ჩვენი თანამემამულე **თორნიკე ვაჭრიშვილი** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავიდანაა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტი არჩეულია საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის წევრად. თორნიკეს და მის ძმას გიორგის სწავლის ფრონტზე მიღწეულ წარმატებებს ჩვენმა გაზეთმა რამდენიმე სტატია უკვე მიუძღვნა, ახლა კი გთავაზობთ იმის შესახებ, თუ რა გზებით ესახება მას საქართველოს მომავალი, რა არის მისი აზრით ქართველებისათვის გზა ხსნისა, რომელიც თამამად შეიძლება ერთგვარ შეძახილებად და მოწოდებადაც მივიჩნიოთ ზოგიერთი ჩვენი გზასაცდენილი ახალგაზრდის მიმართ.

მაშ ასე, მოვუსმინოთ თორნიკეს და მოხარული ვიქნებით, თუ მის ნააზრევს ჩვენი გაზეთის საშუალებითაც ეყოლება გამომხმაურებელი, რის იმედსა და რწმენას ჩვენი მუნიციპალიტეტის წარჩინებული და სასიქადულო ახალგაზრდობა გვიმტკიცებს:

გამარჯობა! *პირველად ვწერ ბლოგზე და თავიდან არ ვიცოდი, რა დმეწერა. მერე, რომ დავფიქრდი, მივხვდი... გამახსენდა ჯიბრან ხალილ ჯიბრანის სიტყვები: „ყოველი სიტყვა უქმია, თვინიერ იმისა, რომელიც ჭეშმარიტებას განაცხადებს“. ჩემი აზრით, დღესდღეობით საქართველოში ყველაზე მეტად უნდა ვილაპარაკოთ ახალგაზრდების მიდგომაზე სამშობლოსადმი. მათ უმეტესობას ავიწყდება, რომ ამდენი გაჭირვების მიუხედავად, საქართველომ მაინც მოაღწია დღემდე. ეს კი ქართველების სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, მონდომების, საქმის დაუზარებლობისა უფლის წყალობის დამსახურებაა. დღევანდელ ახალგაზრდებთან შედარებით ჩვენი წინაპრები იყვნენ „სიტყვა საქმიანები და საქმე სიტყვიანები“. დღეს ბევრი კი ამბობს: „მე მიყვარს საქართველო“, მაგრამ რამდენად აისახება მათი ეს სიტყვა საქმეში, ეგ საკითხავია! როგორც ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონში“ ლელას ათქმევინა, „ჩემს საცდელს ვეცდები გამგელებითა“, ისე უნდა ვეცადოთ ყველა, რითაც შეგვიძლია, ქვეყანას დავეხმაროთ, წინ წავწიოთ და, რაც მთავარია, ჩვენს მომავალ თაობას ისეთი სამშობლო დავახვედროთ, რომელიც უკეთესი იქნება „გუშინდელზე“.*

რა თქმა უნდა, ყველა რაღაცას ვაკეთებთ, მაგრამ ეს „რაღაც“ მარტო საკუთარი თავისთვის არ უნდა იყოს. მარტო საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება, „მუცლის გაძღომა“ და ჩემი აზრით ყველაზე სამწუხარო რამ ახალგაზრდებში (ნუ, ყოველ შემთხვევაში მათი უმეტესობა), დროის „ფაცებოოკ“-ზე უაზროდ ხარჯვა, არაფერს გვარგებს! არც საკუთარ თავს და სამშობლოს მით უმეტეს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა კაცი ადამიანი არ არის.

რა თქმა უნდა, იმ აზრისგან შორს ვარ, რომ მხოლოდ გულმოკლე პატრიოტები უნდა ვიყოთ, არამედ სრულებით ვეთანხმები ვაჟას: „გულით პატრიოტები და გონებით კოსმოპოლიტები უნდა ვიყოთ“. თუმცა, პირველ რიგში, მაინც, ჯერ – პატრიოტები, შემდეგ კოსმოპოლიტები და არა პირიქით!

და ბოლოს, როგორც შეამჩნევდით, რამდენიმე პრობლემა ჩამოვთვალე, თუმცა არ მითქვამს, როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა. ჩემის აზრით ქართველებისათვის ხსნის გზა ერთადერთია – სინანულია! არა მგონია (უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ), რომელიმე ჩვენგანს უფრო დიდი საქმე ჰქონდეს გაკეთებული, უფრო მეტი ჭეშმარიტება ჰქონდეს და უფრო მეტად მორწმუნე იყოს, ვიდრე წმ. დავით აღმაშენებელი. თუ ის დაფიქრდა თავის ცხოვრებაზე, ცოდვებზე, ყველაფერზე და ამის შედეგად დაწერა „გალობანი სინანულისანი“, მაშინ ჩვენ რატომ არ უნდა დავფიქრდეთ ჩვენს წარსულზე, რა გაგვიკეთებია „ცუდი“ და რაც მთავარია, როგორ გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომები! ხოლო, თუ დავფიქრდებით, რატომ იყო დავით აღმაშენებლის ეპოქა „საქართველოს ოქროს“ ხანა, მაშინ ნამდვილად არ გაგვიჭირდება პასუხის გაცემა! დიდად მოხარული ვიქნები, თუ ერთი ადამიანი მაინც დაუფიქრდება ამ ყოველივეს.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით:
თორნიკე ვაჭრიშვილი

გილოცავთ მასწავლებლის პროფესიულ დღეს!

საქმის სიყვარულის, ემოციების ნაყოფი

პატარა ჩაილურის ვიწრო, მტვრიან ორღობეს, სკოლის კედლებს შემორჩა მისი ბავშვობა. ორღობეში გადმომდგარი კაკლის და თუთის ხეები ეჭორავებოდნენ ბაღჩის შუაგულში დარგულ ალუჩისა და ვაშლის ხეებს – მოდის, მოდის, ჩვენი დაუდგრომელი, ასკინკილით ჩამოგვიქროლებს, ჩანთას მოაქანავებს, სკოლისკენ მიიჩქარის, სკოლისკენ...მერე შუადღისას ისევ შეჩქვიფდებოდნენ ჭორიკნები და ახლა ახალ ამბავს მიაწვდიდნენ – მორბის, მორბის, ხუთიანები მიუდია, ხუთიანები... მერე წლები გადიოდა, ახალ-ახალი ამბებიც იზრდებოდა, მრავალფეროვნდებოდა: ლექსები დაუწერია, ლექსებიო, რაიონულ გაზეთშიც დაბეჭდილაო, განა ერთხელ, რატო 30-ჯერ არაო,... ახლა მადალ ქუსლებზე შემოსკუპებულა და უმაღლეს სასწავლებელში მიიჩქარისო, მერე გული დასწყდათ – იორმუღანლოში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ჩვენი ცხვირპაჭუა, ჩვენს კალთებქვეშ გაზრდილიო, მაგრამ მალე გაიხარეს: კარგი მასწავლებელი „დამდგარა“, ქებას ქებაზე იმსახურებს და აზერბაიჯანელ ბავშვებს ქართული ენა მშობლიური ენასავით შეაყვარაო. საბავშვო ბაღშიც ასწავლისო პატარებს.

დიახ, 10 წელია პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურადამთავრებული თეა გურგენიძე იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია; ამასთან, იორმუღანლოს ალტერნატიული საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მასწავლებელიცაა...

ადვილი არ არის ის საქმე, რასაც თეა გურგენიძე უძღვება. მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო და ფასეული საჩუქარი ის სიყვარულია, რასაც თავისი მოსწავლებისაგან და მათი ოჯახებიდან გრძნობს... ეს სიყვარული კი მართლაც დიდია... დიახ, საქმის სიყვარულისა და ერთგულების ნაყოფიც სიყვარულია...

თეა სკოლის ასაკიდან წერს ნოველებს, ნარკვევებს, ჩანახატებს, ლექსებს...

გთავაზობთ მის ნაფიქრალს და ნააზრევს:

ამქვეყნად მოვლენის ყველას საკუთარი მიზეზი აქვს...

რაღა მე მოველ უმიზეზოდ, გაუაზრებლად?....ვდარდობდი, ჰოდა...ამიხილა უფალმა თვალი... ზოგჯერ თოფის ტყვიაზე მეტს ნიშნავს სიტყვა... უფრო საშიში, უფრო მჭრელი, უფრო მწველი და ... გველის ხვრელიდან ამომყვანი, დატვირთული ემოციებით, გულის გულში რომ გაატანს და სუნთქვას აშფოთებს...

მივდივარ...ახლა ჩემი გზები მეტად გრძელია,მეტად მძიმე,მეტად მტვრიანი... გზისპირას მკვდარი ჩიტები ყრია და ყვავილები, ჯერაც კიდევ გაუთელავი...

მტკივა კენჭები ფეხის გულებზე... მტკივა მტვრიანი ორღობეები, ჩემი სავალი გზები მტკივა მტვერშეგლესილი. იქნებ თავად ვარ ტკივილი სრული, დაუსაბამო, დაუსრულები?...

ამომიკეტეს ზეცის კარები... დავრჩი მიწაზე...ნარ–ეკალი ჩემი გახდა გასამარგლავი... ჯერარდარგული ყვავილები მკერდზე მიყვავის... ჩემი ბაღები სხვისას რითი სჯობს?... ჩემი სისხლით არის ნარწყავი, ამიტომაც ხასხასებენ ასე ვარდები...ჩემი ცრემლები ცვარ–ნამად აქვთ დაბნეული გულზე ზამბახებს...ნიავის ნაცვლად ჩემი სუნთქვა ეალერსებათ... მერე იქუხებს, აცივდება, მოვა ვიღაც ნაზი ხელებით და დაუწყებს ჩემს ყვავილებს ფურცელ–ფურცელ დაწიოკებას... ამიტირდება სული ზეცის კიდესთან, უფლის ფეხებთან დამხობილი...რაისთვის ღმერთო?... ალბათ ესეც დავიმსახურე...

***

ეს რა იყო, უცეცხლოდ რომ დამწვი,
ოი, გულქვავ, რა ოინი მიყავ.
მივხვდი, მე ვარ პაწაწინა ბავშვი,
შენ ხარ ჩემი გაზაფხულის დილა!
გამიმეტე?... ჯანდაბასაც გასცდი,
შენთვის კი არ მემეტება მიწა.
გზას გიკვალავ ვარსკვლავებთან, ცაში,
მე?... ქვესკნელში შენი დარდი მიმაქვს.

შენამდე

ახლა შენამდე ისე შორია,
რომ ვერაფერი მომიგონია,
მოვიდე შენთან
და გითხრა კრძალვით:
ორი რამ მსურდა
ამ ქვეყნად მხოლოდ,
სიზმრის ახდენა
და კიდევ იცი,
დაუყვედრები შენი ღიმილი...

უშენოდ სიცოცხლე

მზე ჩადის...
ბინდია ქუჩაში...
მაკლიხარ, მინდიხარ როგორ...
სადა ხარ, რა უცებ დამტოვე,
მე, შენზე მლოცველი გოგო?!
უშენოდ იტირა ბეღურამ,
უშენოდ ნისლია გაშლილი.
ან შენთან სიცოცხლით დამატკბე,
ან შენგან სადღაც შორს გამიშვი...

***

როგორ ამრევია ჩემო საფიქრალი,
უხმოდ მივუყვები გზას და
ვგრძნობ, რომ დანატოვი შენგან
იმედები, ცისარტყელასავით გაქრა.
მაგრამ შემრჩენია ლამაზ მოგონებად
რაღაც წამიერი განცდა;
თავს რომ არ მანებებს, თან რომ
დამყვება და
დარდს რომ დაუნდობლად ფანტავს...
და ჩემს ამქვეყნიურ, წამიერ გაელვებას
შვიდფერი ათინათით ქარგავს.

***

ქარია... შენამდე მომიყვანს ქარი და
თან ღიმილს მოგიტან უხვად.
მე, შენზე ოცნებით უღმერთოდ მთვრალი
ვარ,
ოცნებით დავიწვა მსურს და
მოვალ და მოვარღვევ ცის
ცისფერ თავშალს და
ჯანდაბას, გაწვიმდეს თუნდაც...
მოვალ და მოგიტან ნადარდს
და ნაფიქრალს,
გეტყვი, რაც მწვავდა და მსურდა.
ქარია... შენამდე მოვყვები ფეთიანს,
ვიცი, რომ არ უნდა ვენდო.
არც შენი ნდობა მაქვს, მაგრამ
სხვა რა გზაა?...
ქარს შენთან მოვყვები, ჩემო...

ფიქრსა და ზრუნვაში

ნატო პაპუაშვილი კაკაბეთის საჯარო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 10 წელი კოჭბანის საშუალო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი იყო, შემდეგ ოჯახური პირობების გამო მშობლიურ კაკაბეთში მოუწია დაბრუნება და 2007 წლიდან მუსიკას ასწავლიდა მშობლიურ სკოლაში, 2012 წლიდან კი ბუნებისმეტყველებას.

ნატოს ჩვენი გაზეთის მკითხველი იმ ლექსებიდან იცნობს, რომლებიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ორიოდეჯერ გამოქვეყნებულა. საოცრად სიღრმისეულია მისი ლექსები. იქნებ სულის ტკივილიც დაგიამოთ, იქნებ აგაშოროთ, იქნებ ჩაგაფიქროთ და მიგახვედროთ, პასუხი მიიღოთ იმაზე, რაზედაც დიდი ხანია ფიქრობთ, ვერ აგიხსნიათ და ვერ გაგითვალისწინებინათ.

ნატოს 2 ოქტომბერს 50 წელი შეუსრულდა. უცბად, თითქოს დაუნდობლად „წამოეპარა“ თუ „ხელიდან გაუშვა“ ნახევარი საუკუნე, მაგრამ უკვალოდ კი არა – ადამიანების, განსაკუთრებით პატარების სიყვარულსა და ზრუნვაში.

გილოცავთ, ნატო მასწავლებელო დაბადების დღეს!

<u>ნატო პაპუაშვილი</u>

***

ნაზამთრალი, კვლავ გამთბარი
დაცვარული ფერდობი,
განახლებით მაიმედებს,
ბევრს კი ვეღარ ვენდობი.

იუგილე

მაინც რწმენით მსურს ბობოქარ
სულის ახმიანება,
მაგრამ გული ძველებურად,
აღარ დამიამდება.

***

როგორ შემაკრთე და გამაოცე,
როცა გეგონე გზააბნეული,
რად გადმიშალე, რად დამანახე
სიკეთის ძონძში გამოკრული
ეგ შენი გული.
მე მაინც შევძლებ, ცხოვრების გზაზე,
დავდგები მტკიცედ, კვლავ ანთებული
ო, რარიგ მტკივა, რად გამაცანი,
სიკეთის ძონძში გამოკრული
ეგ შენი გული.

გული

ხან ანთებული, ხანაც ჩამქრალი
მაინც სიცოცხლის ტრფიალია,
გული – მართალი...
განწირული, ხან მთლად ეული,
მაინც სიცოცხლის ტრფიალია
გული სნეული...
ხან სასიმღეროდ ემზადება, განაბულია
მაინც იმედით აძგერდება –
მაინც... გულია...

43 წელი პაჭარების სამსახურში

მისი პედაგოგიური საქმიანობის ხანგრძლივობა უკვე ოთხ ათეულ წელს აჭარბებს. დაამთავრა თუ არა ბაქოს პედაგოგიური ტექნიკუმი, დურნა მარდანოვამ, როგორც დაწყებითი კლასების მასწავლებელმა,პირველად 1972 წლის პირველ სექტემბერს შეაღო მშობლიური იორმუღანლოს საშუალო სკოლის კარები და იმ დღიდან მოყოლებული, დაუღალავად ემსახურება აქაური ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეს. სათვალავი არა აქვს მათ რიცხვს, ვინც ამდენი ხნის მანძილზე პირველად თავის ცხოვრებაში დურნა მასწავლებლის დახმარებით ისწავლა გაუწაფავი ხელით რვეულში პირველი ასოების გამოყვანა, კითხვა, მშობლიური ანბანი.

ღვაწლმოსილ პედაგოგს ეამაყება, რომ დღეს მის აღზრდილთა შორის მრავლად არიან ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, რომლებიც აზერბაიჯანში საქმიანობენ. სასიხარულო და საამაყოა მისთვის ისიც, რომ მის აღზრდილთაგან ზოგიერთი მის კვალს გაჰყვა და მის გვერდით იორმუღანლოს საჯარო სკოლაში აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. დღეს ამ სკოლის დირექტორის მოადგილეა მისი ნამოწაფარი ბ-ნი ვაგიფ ახმედოვი, ლამანა თალიბლი ყოფილი მასწავლებლის მსგავსად დაწყებითი კლასების პედაგოგია, ბიბლიოთეკარად მუშაობს სადაფა სარიევა...

– ნიჭიერი, ერუდირებული და გამოცდილი, დღენიადაგ ცოდნის დონისა და ოსტატობის ამაღლებაზე ორიენტირებული მასწავლებელია. ამჟამად ჩვენი სკოლა ჩართულია ჯიბრაილის პროგრამაში და იგი არჩეულია ამ პროგრამის ფასილიტატორ-მასწავლებლად, – ასე დაგვიხასიათა იგი იორმუღანლოს საჯარო სკოლის დირექტორმა კაზახ აბდულაევმა.

წელს, 14 სექტემბერს დურნა მარდანოვამ, როგორც II^ბ კლასის ხელმძღვანელმა, უკვე 43-ედ შეაღო იორმუღანლოს საჯარო სკოლის კარები. კიდევ დიდხანს ემსახუროს და მდგარიყოს ჩვენი აზერბაიჯანელი ბავშვების სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

გ. ღაგახიშვილი

სპორტი

ხიზამბარელის ტურნირზე _ ხიზამბარელის შემართებით

2-3-4 ოქტომბერს ასპინძაში ჩატარდა საქვეყნოდ ცნობილი ბეჭდაუდებელი ფალავნის ხიზამბარელის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში ვაჟთა და გოგონათა შორის. ასპარეზობა ორ ასაკობრივ ჯგუფში 2000-2002 და 2003-2006 წლიანთა შორის გაიმართა,რომელშიც საქართველოს რეგიონების, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ძიუდოისტ გოგონათა გუნდი.

ჩვენი მოჭიდავე გოგონების ტატამზე მოპოვებული წარმატებები კარგადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის და ამიტომაც მწვრთნელ ლუდმილა ფერაძის აღსაზრდელებმა არც ხიზამბარელის სახელობის ტურნირზე შეირცხვინეს თავი – გოლიათი ფალავნის ტატამზე გოლიათური შემართებით იბრძოლეს და სასახელო შედეგებით დაგვიბრუნდნენ საგარეჯოში: 4 ოქროს, სამი ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი – ასეთია მათი მონაპოვარი.

საგარეჯოელ გოგონათაგან ტატანმზე პირველები 32 კგ წონითი კატეგორიის ძიუდოისტები დადგნენ და სამივე საპრიზო ადგილი თვითონ გაინაწილეს. აქ უძლიერესი იყო **სალომე არაბული**, ვიცე-ჩემპიონი გახდა **ლალი ხოსიტაშვილი,** ბრინჯაოს სინჯის მედალი მოიპოვა მისმა დამ – **მარიამ ხოსიტაშვილმა**.

გაგვახარა და 36 კგ წონითი კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **სალომე გულისაშვილი**, რომელმაც ფინალში დაამარცხა აზერბაიჯანელი მეტოქე.

40 კგ წონითი კატეგორიაში, მართალია, ჩემპიონი არ გვყოლია, მაგრამ სამაგიეროდ, ორი მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალიუ მოიპოვეს **ვარდიკო ბუჩაშვილმა** და **ანა ასანიშვილმა.**

44 კგ წონითი კატეგორიაში აზერბაიჯანელ მეტოქესთან ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა **სალომე ბლიაძე.**

როგორც ყოველთვის, ახლაც, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა ჩვენი ცნობილი ძიუდოისტი **ნატალია ყიშშიძე,** რომელმაც ოქროს მედალი და ჩემპიონობა არავის დაუთმო 48 კგ წონით კატეგორიაში. ამავე წონაში ვიცე-ჩემპიონი გახდა **მარიამ კოხტაშვილი.**

საინტერესო და დაძაბული შეხვედრები ჰქონდა ჩვენს 52 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეს **თინანო რევაზიშვილს**. ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში მისი მეტოქე აზერბაიჯანელი კურბანოვა გახლდათ, რომელიც იოლად დაამარცხა, ფინალში კი შეხვდა აზერბაიჯანის ნაკრების №1 ძიუდოისტს მამედოვას, რომელთანაც ასევე გამარჯვება და ჩემპიონობა იზეიმა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თინანო მამედოვას ანტალიის საერთაშორისო ტურნირზეც შეხვდა იქაც დაამარცხა. ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა ჩვენი ძიუდოისტი **ლილე ხარანაული**.

დასანანი გამოდგა მძიმე წონაში **ნელი გულისაშვილის** საფინალო შეხვედრა,რომელიც ბოლო წამებზე წააგო მეტოქესთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ახმეტაში ჩიკვილაძის ხსოვნის ტურნირზე

4 ოქტომბერს ახმეტაში ჩატარდა აქაური ფალავნის ფარნაოზ ჩიკვილაძის ხსოვნის ტრადიციული, უკვე 31-ე რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში ვაჟთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ აღნიშნული სტილის მოჭიდავეებიც. მათგან ტურნირის ჩემპიონი გახდა და ოქროს მედალი 55 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა ამირან დარბაისელმა.

გიორგი მღებრიშვილი ჩემპიონი გახდა 60 კგ წონითი კატეგორიაში. მან საფინალო ორთაბრძოლაში სძლია თანაგუნდელ დავით კურდღელაშვილს, რომელსაც წილად ვერცხლის მედალი ერგო.

50 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **ნოდარ ძურხულმა**, ასევე მესამე ადგილი დაიკავა **ვასილ ოთიაშვილმა** ამავე წონაში და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ჩვენმა მძიმე წონის ძიუდოისტმა **თორნიკე ფილაურმა.**

ძიუდო თბილისის საერთაშორისო ტურნირზე

სექტემბრის მიწურულს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, რომელშიც საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის ამ სტილის 2004-2005-2006 წლებში დაბადებული ფალავნები იღებდნენ მონაწილეობას. ტურნირზე სხვა მოჭიდავეებთან ერთად საქართველოს ღირსებას აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ნორჩი ძიუდოისტებიც იცავდნენ. მათგან თავი ისახელა და 27 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გიორგიწმინდის სპორტდარბაზის აღსაზრდელი დავით კევლიშვილი. ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ამავე დარბაზის კიდევ ერთი წევრი ნიკა ნოზაძე (60კგ. მწვრთნელები ბადრი ბასილაშვილი, გოჩა მეკოკიშვილი), ასეთივე შედეგებით დატოვა ტატამი კაკაბეთის ძიუდოს სექციის წევრმა საბა ოთიაშვილმა (34კგ, მწვრთნელი გია მასურაშვილი) საერთაშორიოსო ტურნირის ტატამიდან საგარეჯოში ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა მწვრთნელ მამუკა მათიაშვილის მოსწავლე შოთა ბაჩოშვილი (24კგ).

კრივი

სამი ოქრო და სამი ვერცხლი დუშეთის ტურნირიდან

24-27 სექტემბერს დუშეთში, არაგვისპირში ჩატარდა 300 არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კრივში, რომელშიც რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, საჩხერის, ლაგოდეხის, თბილისის კრივის სექციების წევრებთან ერთად თავიანთ ოსტატობას აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ზურაბ იმნაძის აღსაზრდელებიც სცდიდნენ.

ტურნირი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და წონებში ჩატარდა, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოკრივეებმა სამი ოქროსა და ამდენივე ვერცხლის სინჯის მედლები მოიპოვეს. რინგზე ბრძოლაში თავი ისახელა და ტურნირიდან საგარეჯოში ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა მძიმე წონის მოკრივე ტრისტან ფილაური, რომელმაც საფინალო ორთაბრძოლაში დაამარცხა თავისზე გამოცდილი თბილისელი მეტოქე. უნდა აღინიშნოს ის, რომ ტრისტანი სულ 2 წელია რაც რინგზე დადგა და უკვე აქვს სერიოზული წარმატებები.

2004 წლიანთა პაექრობაში ასევე მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა გიორგი დეკანოზიშვილი. ტურნირზე ოქროს მედალს ასევე დაეუფლა 48კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ბაქარ ბარამაშვილი.

2000 წლიანთა შეჯიბრებაში ჩემპიონობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი დააკლდა 59 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ვიცე-ჩემპიონ ვალერი გულიკაშვილს. ამავე ასაკობრივ ჯგუფში ტურნირის ვიცე-ჩემპიონი 56 კგ წონით კატეგორიაში გახდა გაიოზ ფოცხვერაშვილი, ხოლო დავით ბექაურმა ვერცხლის მედალი 2004 წლიანთა ჯგუფში, 34 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა.

როგორც ჩვენთან საუბარში საგარეჯოში კრივის დამფუძნებელმა, გუნდის მწვრთნელმა ზურაბ იმნაძემ აღნიშნა, ეს იყო კრივის სეზონის დაწყების პირველი ტურნირი, რის შემდეგაც საგარეჯოელ მოკრივეებს წინ ბევრი საინტერესო შეხვედრა ელით და თუკი ზემდგომი ორგანოებიდან სათანადო ხელშეწყობა ექნებათ, რისი დიდი იმედი აქვთ, ეცდებიან კვლავ ასახელონ საგარეჯო. შეგახსენებთ, რომ საგარეჯოში კრივის სექცია სულ ოთხ წელს მოითვლის და უკვე ჰყავთ საქართველოს 2 ვერცხლის პრიზიორი.

სპორტი

მზისგულელი მოსწავლე ირაკლი ზირაქაშვილი მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონია

ოქტომბრის დასაწყისში მალაიზიის დედაქალაქმა კუალა-ლუმპურმა უმასპინძლა მსოფლიო პირველობას მკლავჭიდში დიდებსა და ახალგაზრდებს შორის, სადაც ქართველი მკლავჭიდელებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომელთა მკლავის ძალამ საქართველოს 15 ოქროს, 20 ვერცხლის და 9 ბრინჯაოს მედალი მოუტანა. სასიხარულო და საამაყოა, რომ ქართველ მკლავჭიდელთა ამ მონაპოვარში 1 ოქროსა და ამდენივე ვერცხლის მედალი ჩვენი მუნიციპალიტეტის ***სოფელ მზისგულის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე* ირაკლი ზირაქაშვილზე** მოდის, რომელმაც 18 წლამდელთა შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. კერძოდ, ამ უმაღლესი დონის ასპარეზობაში ირაკლიმ ოქროს მედალი მარჯვენის გადაწევაში მოიგო და რომ არა წინა დღით ჯანმრთელობის პრობლემა, ვერცხლის მაგივრად თავისუფლად შეეძლო „ცაცია“ ხელით ოქროს მოპოვება. აქვე გვინდა შეგახსენოთ, რომ ირაკლი ზირაქაშვილი გახლავთ მკლავჭიდში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი.

წარმატებები ვუსურვოთ მომავალშიც.

ფეხბურთი

საკუთარ მოედანზე — გამანადგურებელი ანგარიშით

22 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის II ლიგის გათამაშებაში მონაწილე საგარეჯოს „გარეჯმა“ მწვრთნელთა კოლეგია: დავით მაისურაძე, გოგა მაისურაძე, რეზო ხეხრელაშვილი, ლევან კონიაშვილი, მენეჯერი თემურ ხუციშვილი) საკუთარ მოედანზე უმასპინძლა აფხაზეთის „აფხაზეთს“, რომელიც გამანადგურებელი ანგარიშით 6:1 დაამარცხა. „აფხაზეთის“ კარის ბადე პირველად რეზო თარიმანიშვილმა შეარხია, რასაც მალევე მოჰყვა ბადრი კობახიძის II გოლი. ამის შემდეგ მეტოქის კარში ბურთი გაიტანა ლექსო ღვთისავრიშვილმა, დავით ბეჟიტაშვილმა კი შეძლო „აფხაზეთისათვის“ ორი გოლის გატანა. გარეჯელთა მეექვსე და ბოლო გოლის ავტორი კოტე ლურსმანაშვილი გახლდათ, რომელთა საპასუხოდ მეტოქეებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს გარეჯელთა კარის აღება.

როგორც ამ მატჩის შემდგომ ჩვენთან საუბარში მწვრთნელმა დავით მაისურაძემ განაცხადა, სულ მეორე ლიგის გათამაშების წლევანდელი სეზონის დაწყებიდან 22 სექტემბრის მდგომარეობით „გარეჯს“ გამართული აქვს 3 შეხვედრა, საიდანაც 2 მატჩი მათი მოგებით დამთავრდა, ერთი კი წააგეს. ამ შედეგითა და მოპოვებული 6 ქულით ჯერჯერობით „გარეჯი“ სატურნირო ცხრილის მეხუთე ადგილზეა, რაც ალბათ იმის შედეგია, რომ გუნდს წინასწარი მომზადება არ გაუვლია. ამის შემდეგ „გარეჯს“ საკუთარ მოედანზე კიდევ ორი მატჩი აქვს ჩასატარებელი, სადაც ეცდებიან მოგებასა და ქულათა მაქსიმუმის დაგროვებას.. ასეთივე მიზანი აქვს დასახული გუნდს მთლიანად პირველ წრეში, რათა საკმარისი ქულები დააგროვოს მეორე წრისათვის, სადაც საპრიზო სამეულში მოხვედრა აქვთ დაგეგმილი.

„დინამო“ სოხუმთან 7:1

29 სექტემბერს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ გუნდ „გარეჯის“ ფეხბურთელებს საკუთარ მოედანზე მორიგი შეხვედრა ჰქონდათ სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელებთან, რომლებიც „აფხაზეთის“ მსგავსად დიდი ანგარიშით 7:1 დაამარცხეს. როგორც ჩანს, ფორტუნა „გარეჯელებს“ აფხაზეთის გუნდებთან „ანებივრებს“.

რაც შეეხება „დინამოს“ კარში გატანილი გოლების ავტორებს – მეტოქის კარში თითო ბურთი გაიტანეს ჭიაბერაშვილმა და ქარსაულიძემ, ორი გატანილი გოლი მოდის კობახიძეზე, ხოლო ლურსმანაშვილმა შეძლო მეტოქის კარის სამჯერ აღება.

ასეთი შედეგიანი ყოფილიყოს გარეჯელთა მომავალი მატჩებიც.

საკუთარ მოედანზე – ზედიზედ მესამე მოგება

7 ოქტომბერს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ფეხბურთელებმა საკუთარ მოედანზე მორიგი, მესამე მატჩი გამართეს თელეთის „შავნაბადასთან“, რომელიც წინა ორი მეტოქის მსგავსად დიდი ანგარიშით 6:1 დაამარცხეს.

გარეჯელთაგან „შავნაბადას“ კარში თითო გოლი გაიტანეს ბეჟიტაშვილმა, ლურსმანაშვილმა, კობახიძემ და ლაზარაშვილმა, ხოლო ბარიხაშვილმა შეძლო დუბლის შესრულება. ამის შემდეგ გარეჯელებს გასვლითი მატჩები ექნებათ, რასაც თბილისის „ნორჩ დინამოსთან“ შეხვედრით იწყებენ.

გვერდი მოამზადა
გ. დაბახიშვილმა

ქართველობის, ქრისტიანობის მეციხოვნე

სოფელი მისნაირებითაა ძლიერი

ნოდარი ტაძარში გავიცანით, მოკრძალებული, ჩუმი, რაღაცნაირად მორიდებული. თანდათან გავათამამეთ ტაძრების, სალოცავების მოლოცვისას „ენა ამოვადგმევინეთ“ და კიდეც გაგვიკვირდა – შრომაში ხელებგაუხეშებულს თუ ამხელა სიყვარული და „დაცვა“ ექნებოდა ყოველივე ქართული ტრადიციების, მართლმადიდებლობის მიმართ, არ ვიცოდით.წმინდა წერილებიდან მის მიერ განმარტებულ ციტატებს უფრო სხვანაირი წვდომით ვაანალიზებდით. ნოდარი საინტერესო და საყვარელი პიროვნება გახდა თითოეული მრევლისათვის. ვაზის მოყვარულ კაცს ერთი წუთით არ სცალია. მხოლოდ ვაზს არ უთმობს თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს, უქმად არ რჩება და ბოსტნეულ-ბაღჩეულიც მოჰყავს. აი, ახლა პამიდვრის მოსავალთან ერთად კიტრის ახალი მოსავალიც აქვს. უკვე მოილია საზამთრო, ნესვი...

ვაზთან ურთიერთობის თავისებური „სტილი“ აქვს. ვაზი გასულიერებული ჰყავს, ღვინო – ქრისტეს სისხლად მიაჩნია და მის თითოეულ წვეთს უფრთხილდება, სათუთად უვლის. მიწა ადამიანის ხორცად მიაჩნია და მასაც უფრთხილდება. ერთხელ თქვა: ადამიანს როცა სამარეში პირველ მუჭა მიწას მივაყრით, ვიღაცა აუცილებლად იტყვის – მიწა ხარ და მიწად იქეცი. თითოეული ადამიანი თიხისგან არის „მოზელილი“, ამიტომაც დიდი გაფრთხილება, მოფრთხილება სჭირდება მიწის თითოეულ მტკაველს, ის ღვთისმშობლის წილხვედრია, მან მოგვანდო პატრონობა და უნდა ვუპატრონოთო. ბევრს ნიშნავს და ვერცა ვხსნით, რატომ მაინცდამაინც თიხის ქვევრებს მიანდო კაცმა ღვინის შენახვა. თიხა ყველაზე წმინდაა უფლისათვის, რადგან ადამიანიც თიხისგან შექმნა... თიხის ქვევრი ფილტრავს, წმენდს ღვინოს, აძლევს საუკეთესო თვისებებს ისევ ჩვენი, ადამიანების ორგანიზმისთვისო.

ნოდარისთან საუბარი სასიამოვნოსთან ერთად, საინტერესო და სახალისოა. ეს ის კაცია, რომელიც ყოველდღიურად მიწასთანაა შეჭიდებული, მიწას უგდებს ყურს, მიწის სიცოცხლის რიტმით და მოთხოვნებით ცხოვრობს, შრომობს და სიცოცხლითა და თავისი შრომის შედეგებით ხარობს.

გთავაზობთ ნოდარის საუბარს. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება...

ნოდარ ფირანიშვილი: დავიბადე 1974 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში. ჩემი მშობლები მიწაზე მომუშავეები არიან და მეც ბავშვობიდან შემაყვარეს მიწასთან სიახლოვე. მეამაყება ის, რომ ჩემი შვილიც გვერდით მიდგას, როგორც ძმას და ჩემს გვერდით შრომობს დაუზარებლად. თითქმის ყოველ დღე მიწაზე ვშრომობ და მეგობრებმა ზედმეტსახელიც შემირჩიეს – მიწის მჭამელი – „ბელტიყლაპია“, რასაც დღემდე მეძახიან.

საწყენია, რომ ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ახალგაზრდები, გაურბიან სოფელს, მიწის სამუშაოებს. თითქოს მიწაზე არაფერი მოდის, სარგებელი არ არის, ტყუილი, ფუჭი წვალებაა, ჩაქნეული აქვთ ხელი. მე კი ვეტყვი მათ, ვინც მიწაზე მუშაობას გაურბის, რომ ის თავის თავს გაურბის და იმ ვალდებულებას გაურბის, რომელიც თითოეულ ადამიანს აქვს ღვთისგან დაკისრებული. ღმერთმა ადამიანი მიწისგან, თიხისაგან შექმნა, ამიტომ ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე კავშირი უნდა ჰქონდეს მიწასთან. ის ხომ მისი ნაწილია, ქეიფის დროსაც, მის ხელში გაივლის ყველა ის ჭურჭელი, რომელიც მიწისგან, თიხისგან არის დამზადებული: ყანწი, დოქი, ფიალა, თუნდა ქვევრი ვთქვათ, რომელშიც საუკეთესო ღვინო დუღდება ყველა ჭურჭლისგან განსხვავებით. თუნდაც ვაზი ავიღოთ, რომელიც ასევე შვილთან არის გაიგივებული. ისიც ხომ ჩვენი ნაწილია, მისგან მოყვანილი მოსავლით მზადდება ის სითხე, რომელსაც ღვინო ქვია, რომლისგანაც ყველა ქრისტიანს აქვს საშუალება, რწმენიდან გამომდინარე, ეზიაროს უფლის სისხლს. დიდი კავშირი აქვს ყოველივე ამას უფალთან, მაგრამ ყოველივე ამის მიზეზი ურწმუნოებაა. როდესაც პატრიარქი ქადაგებს – დაუბრუნდით სოფელს, თქვენს მიწებს, დაამუშავეთ, მოიყვანეთ ხარისხიანი მოსავალი, მცირედით დაკმაყოფილდით, ნუ გაწყვეტთ კავშირს მიწასთან, იგივე თქვენს ხორცთან, არავინ უსმენს მას, რადგან ურწმუნოებასთან ერთად სიზარმაცეც არის მათში. არ უნდათ აღიარონ ეს სიმართლე, მაგრამ ეს ხომ ასეა. ეძებენ სულ სხვა იოლ სამუშაოებს, ქალაქში, ზოგჯერ სხვა ქვეყნებში. უფალმა სადაც გაგაჩინა, იქ უნდა იცხოვრო, ასე არის ნება ღვთისა.

ურწმუნოება იმაში მდგომარეობს, რომ არ იციან წმინდა წერილები, არ იცავენ უფლის მცნებებს, ამიტომ ადვილად ვარდებიან ეშმაკის მახეში, რომელიც მრავალგზის არის დაგებული ჩვენს გარშემო: გართობა და ფუფუნება, აღვირახსნილობა, მუცელღორობა, არაეკლესიური ცხოვრება. ეს კი გვაშორებს უფალთან, რწმენასთან, მიწასთან, წინაპრების მიერ დატოვებულ ვალდებულებასთან, რომელნიც ბრძოლის დროს ვაზის ლერწს აბჯართან ერთად ატარებდნენ, რომ მტრის მიერ გაჩეხილ ვენახს, ამით ჩანაცვლებოდნენ სიკვდილის შემთხვევაში. ამიტომ მოვიდა დღემდე ეს მადლიანი მცენარე, რომელშიც ღვთიურია რაღაც, რომლის მოვლის დროსაც ჩვენი წინაპარი მუხლის ჩოქებით ვაზის ფესვსაც აცლიდა სარეველას და და მადლა ყლორტებსაც ეხებოდნენ, თითქოს ამ ქცევით დაჩოქილი ავედრებდა ღმერთს ვენახს, როგორც შვილს. „ვაზო, შვილივით ნაზარდო“ – ნათქვამია. ქართველები ყოველი საქმის დაწყების წინ ლოცვას აღავლენდნენ, დასრულებისას მადლობას სწირავდნენ ღმერთს, მუშაობის დროს გალობდნენ და ღიღინებდნენ, უფალიც არ აკლებდათ მადლს და უხვ მოსავალს. ეხლა არც ლოცვა იციან და აღარც გალობა. ამიტომ არის ეს განსაცდელები, სტიქიები, ხალხის შეურაცხყოფა. არაფერი არ ხდება ჩვენს გარშემო ღვთის განგების გარეშე, კარგიც და ცუდიც ჩვენს სასიკეთოდაა, რათა გამოვერკვიოთ ყველანი, დავუფიქრდეთ ჩვენს ცხოვრებას, მოვინანიოთ უფლის წინაშე ყოველივე, დავდგეთ ჭეშმარიტ გზაზე, ღირსეულად დავუბრუნდეთ ჩვენს სარწმუნოებას, ვიცხოვროთ ეკლესიური ცხოვრებით, პატიოსანი ცხოვრებით, უფლის მცნებების შესრულებით. სიყვარულით, ერთმანეთის პატიებით. დავიცვათ ჩვენი მამული, ენა, სარწმუნოება და ღირსეულად გავხდეთ ყველა ქართველი, უფლის იესო ქრისტეს ჭეშმარიტი ჯარისკაცი!

შეზღუდული შესაძლებლობისმქონე ადამიანების დასახმარებლად

ჩვენი მიზანი საყოველთაო არჩევნებია

ცნობილია, რომ საზოგადოების დემოკრატიულობის ერთ-ერთი ტესტი ისიცაა, თუ რამდენად ტოლერანტულია ეს საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისადმი. მათი უფლებების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა. ახლა, როცა საგარეჯოს რაიონში შუალედური საპარლამენტო და საკრებულოს არჩევნებია მოახლოებული, რაიონში მცხოვრებ შშმ პირთა არჩევნნებში ჩართულობის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

საქართველოს უსინათლოთა კავშირი საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საარჩევნო ცნობიერების, საარჩევნო კულტურისა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის დონის ამაღლება. მხედველობის მხრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებში არჩევნების პოპულარიზაცია, მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება.

ამ მიზნით ჩამოყალიბებულია სპეციალური ჯგუფი, რომელსაც დაგეგმილი აქვს: საგარეჯოს რეგიონში მცხოვრებ უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩევლთა რაოდენობის დადგენა. კერძოდ, მათი იდენტიფიკაცია მოხდება ერთი მხრივ, უსინათლოთა კავშირში აღრიცხვაზე მყოფთა და მეორე მხრივ, რეგიონის გამგეობაში არსებული ინფორმაციის შეჯერებით; საჭიროებათა შესწავლა ანკეტური გამოკითხვის გზით ბენეფიციარების ასაკის, გენდერის, ინფორმირებულობის და არჩევნებისადმი განწყობის შესასწავლად; საგანმანათლებლო ტრენინგის ადგილებზე ჩატარება საარჩევნო უფლების და მისი რეალიზების საშუალებებზე. ასევე, პრაქტიკული ღონისძიებები: წინა საარჩევნო პროგრამის განხილვა. კანდიდატის შეფასება - შერჩევის სწორი კრიტერიუმები. ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობის (იურიდიული) ფორმა და საარჩევნო პროცესის იმიტაცია.

პროექტის ადმინისტრაციისა და რეგიონის გამგეობის წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობის შედეგად შეჯერდება რიგი საკითხები, რაც უზრუნველყოფს, შშმ პირთათვის მაქსიმალურად ადაპტურ საარჩევნო გარემოს და მათთვის კანდიდატების საარჩევნო პროგრამების კუთხით ინფორმირების დონის გაზრდას.

ყველაფერი კეთდება იმისთვის, რათა უსინათლო ადამიანმა თავი იგრძნოს სრულყოფილ მოქალაქედ, იარწმუნოს, რომ მისი ხმაც ემატება ქვეყნის დემოკრატიის მშენებლობას.

თამაზ მუქერია,
პროექტის ხელმძღვანელი

კონფერენცია

ერთმანეთს მოსაზრებები გაუზიარეს

2015 წლის 9 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის საანგარიშო კონფერენცია, სადაც სპმთპ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ანგარიშით 2013-2015 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ. კონფერენციის მონაწილეთა წინაშე წარდგა რომან ზუკაკიშვილი, ასევე, სპმთპ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა ელზა ზაკალაშვილმა.

კონფერენციას ესწრებოდა 71 დელეგატი, აგრეთვე მოწვეული სტუმრები, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის ცენტრალური ოფისის წარმომადგენლები ლილი გოგიჩაიშვილი და ქეთი ვადაჭკორია აკვირდებოდნენ კონფერენციის მიმდინარეობას.

დელეგატებმა მაღალი შეფასება მისცეს ორგანიზაციის საქმიანობას და კიდევ ერთხელ გამოუცხადეს ნდობა ბ-ნ რომან ზუკაკიშვილს.

კონფერენციის დასასრულს განათლებისმუსაკებმა თავინთი მოსაზრებები და შენიშვნები გაუზიარეს ცენტრალური ოფისის წარმომადგენლებს.

ნელი გროლაშვილი,
სპმთპ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის საბჭოს მდივანი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე გაერთიანების მენეჯერს ტარიელ როსტომაშვილს დედის

ნათელა ნიკოლაიშვილი-როსტომაშვილის

გარდაცვალების გამო.

თინა ილაური, თამუნა და ნინო შალვაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ტარიელ, ამირან, ნანა და იზო როსტომაშვილებს და მათ ოჯახებს დედის

ნათელა ნიკოლაიშვილი-როსტომაშვილის

გარდაცვალების გამო.